სამედიცინო გაზეთი

PER TRADITIONES AD FUTURUM

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№ 8(356) ოქტომბერი, 2022 წელი



ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები სტაჟირებაზე თსსუ-ში

თსსუ-ის საპატიო დოქტორი, ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკის რადიაციული თერაპიისა და რადიოონკოლოგიის ცენტრის უფროსი ექიმი ირმა კვიცარიძე: „ავსტრიელი სტუდენტებისგან ძალიან კარგი გამოხმაურებები აქვს თსსუ-ის დეპარტამენტებს, მათ პროფესორებს, ჩემს ქართველ კოლეგებს. სტუდენტები საუკეთესო შთაბეჭდილებებით ბრუნდებიან ავსტრიაში, უზიარებენ კოლეგებს საქართველოში მიღებულ გამოცდილებას და გამოთქვამენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტაჟირების კიდევ გავლის სურვილს, რამდენიმემ კი სურვილი გამოთქვა მედიცინის სწავლა საქართველოში გააგრძელოს.

მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ქართველ კოლეგებს, რომლებიც მხარს უჭერენ პროექტს, უზიარებენ საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას საერთაშორისო სტუდენტებს. განსაკუთრებული მადლობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ზურაბ ვადაჭკორიას. ვფიქრობ, რომ ეს არის ქართული მედიცინის განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო გზა, რამეთუ ევროპა ჩვენი სახლია“.

გვ 6

ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე ათ ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე პირველსემესტრელს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცა, მათ შორის ყველაზე მაღალრეიტინგულს, მედიცინის ფაკულტეტის პირველსემესტრელს, ნიკა კახნიაშვილს, თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, პერსონალური კომპიუტერი გადასცა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა კი განსაკუთრებული და ორიგინალური სიურპრიზით – სპეციალურად ამ დღისთვის მის შესახებ მომზადებული ვიდეორგოლით მიულოცა სტუდენტობა.

გვ 3

19 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის პირველსემესტრელი სტუდენტებისთვის მეათე საზეიმო მიღება – „თეთრი ხალათების ცერემონია“ გაიმართა.

გვ 3

თსსუ-ის კურსდამთავრებული, სტომატოლოგიის აკადემიური დოქტორი ავთანდილ ბაქრაძე: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმატებები, ვფიქრობ, ყველა მისი კურსდამთავრებულის წარმატებაცაა და – პირიქით. მახარებს, რომ იგი სულ უფრო და უფრო, თანამედროვეობის შესატყვისად, ვითარდება.

გვ 5

სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორია მდიდარია ღირსეულ პროფესიონალთა სახელებით, რომლებიც თავისი დარგის განვითარების სათავეებთან იდგნენ და დღეს მათ მიერ შექმნილ მძლავრ ფუნდამენტზე წარმატებით ვითარდება თანამედროვე სამეცნიერო და კლინიკური მედიცინა. ასეთ დიდ სახელებს შორის მოიაზრებიან პროფესორები: ბაადურ რაჭველიშვილი და ირაკლი ციციშვილი.

2022 წელს მათ დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდათ...

გვ 7

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაცია ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) კონფერენციაზე

2022 წლის აგვისტოში ქალაქ ლიონში (საფრანგეთი), ჰიბრიდულ რეჟიმში, ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) კონფერენცია ჩატარდა. კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ვიცე-რექტორი, პროფესორი ხათუნა თოდაძე; აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი გაიანე სიმონია; აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე სალომე ვორონოვი; ფიზიკური რეაბილიტაციის პოლიტიკისა და სტრატეგიული მართვის დეპარტამენტის პროფესორი არჩილ უნდილაშვილი; თსსუ-ის კანცლერი, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე (დისტანციურად); ციტოპათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი (დისტანციურად); დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი ეკა ეკალაძე (დისტანციურად); დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორის მოადგილე ნინო თევზაძე და ამავე პროგრამის მთავარი სპეციალისტები: გვანცა ვარდოსანიძე და ნინო შიუკაშვილი.

კონფერენციაზე დელეგაციის წევრებმა წარადგინეს შემდეგი პოსტერული მოხსენებები:

ღონისძიებაზე საქართველოში AMEE-ის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრმა სამწლიანი მუშაობის ანგარიში წარადგინა, რამაც დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. აღსანიშნავია ისიც, რომ კონფერენციის საგამოფენო დარბაზში ცალკე სივრცე დაეთმო ინფორმაციას ცენტრის მიღწევების შესახებ.

კონფერენციის გახსნის ცერემონიალზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების: ელენე მაისურაძის, ვერიკო რევიას და ნინი ჯღარკავას პროექტი – „პირველი ნაბიჯები სამედიცინო პრაქტიკაში“ – სტუდენტურ პროექტებს შორის გამარჯვებულად დასახელდა.

აღსანიშნავია, რომ AMEE-ის ცენტრის თანახელმძღვანელი, სალომე ვორონოვი, კონფერენციაზე მიწვეული იყო მნიშვნელოვანი სესიის მოდერატორად – „აკადემიური განვითარება – პრაქტიკის საზღვრების გაფართოება“. სესიაზე განხილული იყო ედინბურგის, ბრისტოლის და კანადის უნივერსიტეტებში ჩატარებული კვლევების შედეგები. მოხსენებებს მოჰყვა აქტიური დისკუსია.

მოხსენებებს შორის, ფაკულტეტის განვითარების მიმართულებით, წარმოდგენილი იყო დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სასწავლო კურსის – „გახდი ექიმი“ – ფარგლებში ჩართული პერსონალის 360 გრადუსიანი შეფასების საპილოტე პროექტი (ე. ეკალაძე, ნ. თევზაძე, გ. ვარდოსანიძე, ნ. შიუკაშვილი).

კონფერენციის დასკვნით პლენარულ სხდომაზე ოფიციალურად დასახელდა AMEE-ის ახლად არჩეული პრეზიდენტი – შუბა რამანი და AMEE-ის აღმასრულებელი დირექტორი – ანე ლოიდი.

კონფერენციის პერიოდში დელეგაციის წევრებს ჰქონდათ საინტერესო შეხვედრები თსსუ-ის საერთაშორისო პარტნიორებთან – სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) პრეზიდენტთან, პროფესორ დევიდ გორდონთან; AMEE-ის ექს-პრეზიდენტებთან, პროფესორებთან: ტრევორ გიბსთან, ტრუდი რობერტსთან და მადალენა პატრიციოსთან; AMSE-ის პრეზიდენტ ჰარმ პიტერსთან, უტრეხტის აკადემიური მედიცინის საუნივერსიტეტო ცენტრის და კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორ ოლე ტენ კატესთან; პროფესორ დევიდ ტეილორთან, პოლ ჯონსთან და ლორენს შერმანთან. თსსუ-ის დელეგატებმა აქტიურად გაცვალეს ინფორმაცია სამედიცინო განათლების მსოფლიო დონის კომპანიებთან (NBME, Lecturio, amboss, Sectra და ა.შ.) და სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის გეგმები დასახეს.

ევროპის საერთაშორისო განათლების ასოციაციის (EAIE) ყოველწლიურ კონფერენციაზე

მიმდინარე წლის 13-16 სექტემბერს ქალაქ ბარსელონაში (ესპანეთი) ევროპის საერთაშორისო განათლების ასოციაციის (EAIE) 32-ე, ყოველწლიური კონფერენცია და გამოფენა ჩატარდა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: თსსუ-ის კანცლერი, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე; ფიზიკური რეაბილიტაციის პოლიტიკისა და სტრატეგიული მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი არჩილ უნდილაშვილი; აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე სალომე ვორონოვი.

ღონისძიებას ესწრებოდა 6300-ზე მეტი დელეგატი მსოფლიოს 90-ზე მეტი ქვეყნიდან, საგამოფენო სივრცეში კი 200-ზე მეტი დაწესებულება იყო წარმოდგენილი.

თსსუ-ის დელეგატებს საინტერესო შეხვედრა ჰქონდათ EAIE-ის ახლად არჩეულ პრეზიდენტ პიტ ვან ჰოვთან. განიხილეს თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები, დაიგეგმა თსსუ-ის აქტიური ჩართულობა მომდევნო წლის კონფერენციაზე - EAIE-2023.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს დიდი ბრიტანეთის კილის უნივერსიტეტის პროფესორები სტუმრობდნენ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს კილის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) პროფესორები: ჯუნ კილინგი, აივან მაქგლენი და ტომ შეფერდი სტუმრობდნენ.

ისინი დაესწრნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 2022/2023 სასწავლო წლის გახსნის ოფიციალურ ღონისძიებას. საზეიმო ცერემონიაზე მათ სიტყვით მიმართეს სტუდენტებსა და პროფესურას. პირველსემესტრელებს საშუალება ჰქონდათ, საზეიმო ღონისძიების შემდეგ, კილის უნივერსიტეტის პროფესორებს შეხვედროდნენ.

ვიზიტის ფარგლებში, სტუმრები იმყოფებოდნენ თსსუ-ის კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრში.

ბრიტანელმა პროფესორებმა ლექციები წაიკითხეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტებისთვის, მათ შორის, ერთ-ერთი – კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკაში (პროფესორმა აივან მაკგილმა).

დელეგაციის წევრებმა მოინახულეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა ადრეული განვითარების აკადემია, რომელიც ემორის უნივერსიტეტისა და თსსუ-ის თანამშრომლობის კიდევ ერთი ინოვაციური პროექტია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ინდოეთის დელეგაცია ეწვია

11 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვია ინდოეთის რესპუბლიკის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ:

ქალბატონი მინაკში ლეკჰი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი; მისი აღმატებულება, ბატონი კიშან დენ დევალი, ინდოეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩი სომხეთსა და საქართველოში; ბატონი სიდჰარტ მალიკი, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე; ბატონი მადჰავ სულფული, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ევრაზიის მიმართულებით; ბატონი თეჯას პაგარი, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე; შეხვედრას, ასევე, დაესწრო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი, ბატონი მერაბ ჩაჩუა.

სტუმრებს შეხვდნენ: თსსუ-ის კანცლერი, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე; მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი დავით თოფურია; დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი ეკა ეკალაძე; საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ნინო აფციაური და რექტორის აპარატის უფროსი ირინა კაპეტივაძე, რომელმაც ინდოელ სტუმრებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა.

ვიზიტის ფარგლებში, ინდოეთის რესპუბლიკის დელეგაციის წევრები, ასევე, შეხვდნენ მათივე ქვეყნის წარმომადგენელ, მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტისა და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტებს.

უკრაინის დელეგაცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს თსსუ-ის საპატიო დოქტორი, სტომატოლოგიური კლინიკა-სტუდია „აპოლონიას“ კლინიკური ხელმძღვანელი, საერთაშორისო სტომატოლოგიური კოლეგიის ევროპის სექციის მე-15 დეპარტამენტის რეგენტი სერგეი რადლინსკი და სტომატოლოგიური კლინიკა-სტუდია „აპოლონიას“ სასწავლო-პრაქტიკული ცენტრის ხელმძღვანელი ვერა რადლინსკა (პოლტავა, უკრაინა) სტუმრობდნენ.

20 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა, სერგეი რადლინსკიმ, სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის წაიკითხა ლექცია თემაზე: „კბილთა სისტემური ცვეთის პირდაპირი რესტავრაცია“.

ლექციის შემდეგ, სერგეი რადლინსკი, როგორც სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეგიის (ICD) მე-15 დეპარტამენტის რეგენტი, თსსუ-ის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიურ კლინიკაში შეხვდა კავკასიის რეგიონზე (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) პასუხისმგებელ ვიცე-რეგენტს და ICD-ის ქართველ წევრებს, რომელთა უმრავლესობა თსსუ-ის აკადემიური პერსონალია.

მრგვალი მაგიდის ფორმატში გამართულ შეხვედრაზე მათ მოისმინეს ვიცე-რეგენტის, თსსუ-ის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ მარინა მამალაძის ანგარიში, ასევე, განიხილეს კოლეგიის ახალ წევრებად იმ სტომატოლოგთა კანდიდატურები, რომლებიც საქართველოდან არიან წარდგენილნი. აღსანიშნავია, რომ მათი საზეიმო მიღება 2023 წელს, ამსტერდამში, ICD-ის 66-ე კონგრესზე მოხდება.

შეხვედრის ბოლოს, თსსუ-ის კიდევ ერთმა უკრაინელმა სტუმარმა, ვერა რადლინსკამ, რომელიც პოლტავაში სტომატოლოგიის კლინიკა-სტუდია „აპოლონიას“ სასწავლო ცენტრის დირექტორია, სერგეი რადლინსკისთან ერთად, დაათვალიერა სტომატოლოგიის ფაკულტეტის სიმულატორების ცენტრი და ქართველ კოლეგებს მათი სასწავლო ცენტრის საქმიანობის შესახებ გამოცდილება გაუზიარა. ასევე, სტუმრები იმყოფებოდნენ თსსუ-ის კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრში.

„პოლტავაში რომ დავბრუნდები, აუცილებლად ვიტყვი, რომ პოლტავას სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გამოაგზავნოს დელეგაცია. მიხარია, რომ აქ შეიძლება ისწავლო, როგორ გახდე წარმატებული და მიმზიდველი საერთაშორისო დონეზე, როგორ მიაღწიო მაღალ სტანდარტებს სწავლებასა და სამეცნიერო საქმიანობაში. შემიძლია, გულწრფელად გითხრათ: ყოჩაღ თქვენ! თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი სამაგალითოა!“, –განაცხადა სერგეი რადლინსკიმ შეხვედრის დასასრულს.

ხელშეკრულების გაფორმებამდე, უკრაინელი სტუმრები: სერგეი რადლინსკი და ვერა რადლინსკა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 2022-2023 სასწავლო წლის გახსნის ოფიციალურ ღონისძიებას დაესწრნენ.

საქართველოს რესპირაციული ასოციაციის მე-7 საერთაშორისო კონგრესი ბათუმში

8-10 სექტემბერს ბათუმში ჩატარდა საქართველოს რესპირაციული ასოციაციის მე-7 საერთაშორისო კონგრესი. მასში მონაწილეობა მიიღო 26 ქვეყნის 950-მა დელეგატმა, მათ შორის, 33-მა მომხსენებელმა ევროპის, აშშ-ის, აფრიკის და აზიის ქვეყნებიდან. კონგრესს ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ივანე ჩხაიძე.

პარალელურად მიმდინარე 23-ე სიმპოზიუმზე დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცა გაცნობოდა 89 პრეზენტაციას, რომელიც შეეხებოდა მედიცინის თითქმის ყველა ასპექტს: ონკოლოგიასა და ქირურგიას, კრიტიკულ მედიცინასა და ინფექციებს, ტუბერკულოზსა და ასთმას, ალერგიასა და ფილტვის ქრონიკულ დაავადებებს, პედიატრიასა და ნეონატოლოგიას, COVID-19-სა და იმუნიზაციას.

წელს პირველად ჩატარდა განსხვავებული ფორმატის ქართულ-ლიეტუვურ-უკრაინული სოლიდარობის სიმპოზიუმი – ე.წ. ვორკშოპი სახელწოდებით – „კომუნიკაცია კოლეგებთან – პრაქტიკული მიდგომა“, აგრეთვე SARS-CoV-2-ის ვირუსით გამოწვეული პანდემიის და COVID -19-ის საწინააღმდეგო იმუნიზაციისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმები.

კონგრესის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო თსსუ და ქართველ მომხსენებელთა უმრავლესობა სწორედ თსსუ-ის პროფესორი გახლდათ. კონგრესის გახსნის ცერემონიალზე მონაწილეებს სიტყვით მიმართა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ.

ანესთეზიოლოგიისა და ინტენსიური თერაპიის მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია – „GeoAnesthesia – 2022"

22-25 სექტემბერს ბათუმში, სასტუმრო „რედისონში“, ანესთეზიოლოგიისა და ინტენსიური თერაპიის მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია – „GeoAnesthesia -2022“ გაიმართა.

კონფერენცია ორგანიზებული იყო „ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგთა კავშირის“ მიერ აჭარის მთავრობის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, საქართველოს ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის სკოლის და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგები, ტოქსიკოლოგები და გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტები, ასევე, მოწვეული სპიკერები გერმანიიდან, ისრაელიდან, უკრაინიდან, უნგრეთიდან, ავსტრიიდან, სომხეთიდან, საფრანგეთიდან და ა.შ.

ღონისძიების გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ აჭარის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, გახსნის ცერემონიაზე მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა.

„აღნიშნული კონფერენცია კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოში პრაქტიკული მედიცინის, სამედიცინო განათლებისა და მედიცინის მეცნიერებების განვითარების მიმართულებით“, – განაცხადა პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან „GeoAnesthesia-2022"-ის სპიკერები იყვნენ: პროფესორი თინათინ ჩიქოვანი, პროფესორი ლევან რატიანი, პროფესორი ივანე ჩხაიძე და ასისტენტ-პროფესორი ეკა ქურდაძე.

თსსუ-ის ვიცე-რექტორის ვიზიტი ბელგიაში

11-12 ოქტომბერს ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში, გაიმართა „ტვინის ინოვაციის დღეები“, რომელსაც დაესწრო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ბავშვთა ნევროლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი სოფიო ბახტაძე. აღნიშნული ღონისძიება ყოველწლიურად იმართება და მისი ორგანიზატორია ევროპის ტვინის საბჭო. აღსანიშნავია, რომ ევროპის ტვინის საბჭო წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს ევროპის წამყვან ნევროლოგიურ და ფსიქიატრიულ ასოციაციებსა და საზოგადოებებს.

აღნიშნულ ღონისძიებაზე პროფესორი სოფიო ბახტაძე იმყოფებოდა ევროპის პედიატრიული ნევროლოგიური საზოგადოების დელეგატის სტატუსით. თსსუ-ის ვიცე- რექტორმა ისაუბრა ევროპის პედიატრიული ნევროლოგიური საზოგადოების ეგიდით ამჟამად მიმდინარე და 2023 წელს დაგეგმილი სამეცნიერო პროექტებისა და საგანმანათლებლო ღონისძიებების შესახებ.

ახალგაზრდა მკვლევარის წარმატება

16-18 სექტემბერს კოპენჰაგენში, ფიზიოლოგთა ევროპული საზოგადოებების ფედერაციის (FEPS) ორგანიზებით, ჩატარდა კონგრესი – „ევროფიზიოლოგია – 2022“.

კონგრესში მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტმა, თამარ გვასალიამ, რომლის სადოქტორო კვლევა პროფესორ ირინე კვაჭაძის ხელმძღვანელობით სრულდება.

კვლევის შედეგების ფრაგმენტი კონგრესზე წარდგენილი იქნა მოხსენებით – „ტკივილის პერცეფცია სხვადასხვა კვებითი სტატუსის პირობებში“. თამარ გვასალიას მოხსენება დასახელდა კონგრესზე წარდგენილ 10 საუკეთესო ნაშრომს შორის და მოიპოვა FEPS-ის მიერ ახალგაზრდა მკვლევარებისთვის გამოყოფილი ჯილდო.

19 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის პირველსემესტრელი სტუდენტებისთვის საზეიმო ღონისძიება – „თეთრი ხალათების ცერემონია" გაიმართა.

მიღება საქართველოსა და აშშ-ის ჰიმნებით გაიხსნა, რაც ორი ქვეყნის – საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების დიდი მეგობრობისთვის, ამასთანავე, საქართველოს სამედიცინო განათლების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული – თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამისთვის სიმბოლური გახლდათ. (დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე ემორის უნივერსიტეტის (ატლანტა, აშშ) ხელშეწყობით 2013 წლიდან ფუნქციობს. სასწავლო პროგრამა ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კურიკულუმზეა დაფუძნებული).

ღონისძიებას უძღვებოდა ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი, თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის კონსულტანტი, თსსუ-ის ფიზიკური რეაბილიტაციის პოლიტიკისა და სტრატეგიული მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი არჩილ უნდილაშვილი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ აშშ-ის ვოლტერ რიდის არმიის სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ოფისის სამეცნიერო დირექტორი ბრაიან ვოლკერი და ბატონი არჩილ გაგნიძე, რიჩარდ ლუგარის ცენტრის პროგრამ-მენეჯერი, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის პირველსემესტრელ სტუდენტთა მშობლები, თსსუ-ის აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

აუდიტორიას სიტყვით მიმართა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ. მან პირველსემესტრელებს დიდი წარმატება - თსსუ-ის სტუდენტობა მიულოცა, ისაუბრა თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამის პერსპექტივასა და იმ ავტორიტეტზე, რომლის მოპოვებაც ამ პროგრამამ საკმაოდ მოკლე დროში მოახერხა.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის პირველსემესტრელ სტუდენტებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს: ამავე პროგრამის დირექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა ეკა ეკალაძემ; პროგრამის ხელმძღვანელმა, პროფესორმა რიმა ბერიაშვილმა და მეათესემესტრელმა, წარმატებულმა სტუდენტმა, ნიკა ვაშაკიძემ.

ღონისძიების ემოციური ნაწილი გახლდათ პირველსემესტრელთა თეთრი ხალათებით შემოსვა, რაც საყოველთაო აღტაცებისა და ამაღლებული განწყობის თანხლებით ჩატარდა.

პირველსემესტრელთათვის მოწყობილი საზეიმო ცერემონია გამორჩეული იყო მუსიკალური ნომრებითაც, რომლებიც დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის მაღალსემესტრელმა სტუდენტებმა შეასრულეს: ჯანადი კარავიტა და ჰუზაიფ ბინ ბაშერი აუდიტორიის წინაშე რამდენიმე სიმღერით დაინ ტომ თომასის (ფორტეპიანო) და დეივ ბიჯის (ელექტრონულ გიტარა) ინსტრუმენტული თანხლებით წარდგნენ.

აღსანიშნავია, რომ 2022-2023 სასწავლო წელს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე 110 სტუდენტი ჩაირიცხა.

29 წელი სოხუმის დაცემიდან

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეზოში, აფხაზეთის ომში გმირულად დაცემული სტუდენტების: ვასილ კილაძის, ილია მელაძის, გიორგი მიროტაძის, რევაზ მუმლაძისა და ნიკოლოზ ღიბრაძის სახელების უკვდავსაყოფად აღმართულ მემორიალთან შეიკრიბნენ თსსუ-ის სტუდენტები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, ომში დაღუპული გმირების მშობლები და ახლობლები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა მემორიალი გვირგვინით შეამკეს და გარდაცვლილი გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს.

შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ: ,,ეს უაღრესად მძიმე დღეა საქართველოს უახლეს ისტორიაში. მინდა კიდევ ერთხელ გაგახსენოთ, რომ ეს არ იყო ქართველებისა და აფხაზების ომი, ეს იყო რუსეთის მიერ პროვოცირებული ძმათა მკვლელი ომი, სადაც გმირულად დაეცნენ ეს ბიჭები და მათთან ერთად კიდევ ძალიან ბევრი საამაყო ახალგაზრდა. ეს ბიჭები არ წასულან აფხაზებთან საომრად. ისინი საქართველოს ერთიანობას იცავდნენ - იმ ერთიანობას, რომელიც, საუბედუროდ, დროებით დავკარგეთ. სიმბოლურია, რომ მემორიალის შუა სვეტზე აღნიშნული სახელი - გიორგი მიროტაძე ქართველებისა და აფხაზების შთამომავალი იყო. მისი დედა ცნობილი აფხაზი ექიმის, ურولოგიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ სოკრატ არშბას ქალიშვილი გახლდათ. ეს მსხვერპლი არის სიმბოლო იმ დიდი ტრაგედიისა, საიდანაც გამარჯვებული არავინ გამოსულა: არც აფხაზი და არც ქართველი".

ომში გმირულად დაღუპული სტუდენტების მშობლებმა - ლევან მიროტაძემ და ნანა ბეგიშვილმა მადლობა გადაუხადეს თსსუ-ის სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს და ადმინისტრაციას იმისთვის, რომ არცერთ 27 სექტემბერს არ ჩაუვლია შეუმჩნევლად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

,,ვიდრე ამ ბიჭების ხსოვნა ცოცხალია, ისინი ცოცხლობენ. დიდი მადლობა თსსუ-ის, რომ ასე უფრთხილდება მათ მარადიულ სიცოცხლეს!" - აღნიშნა ქალბატონმა ნანამ.

აფხაზეთის ომში დაღუპული სტუდენტები გაიხსენა თსსუ-ის კურსდამთავრებულმა, აფხაზეთის ომის ვეტერანმა, მწერალმა ზურაბ ლეშკაშელმა, რომელიც ყოველწლიურად, 27 სექტემბერს, თსსუ-ში ესწრება ამ ტრაგიკული თარიღის აღნიშვნას.

„სასახელო და საამაყოა, რომ ჩვენი მშობლიური თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მაღალპროფესიული კადრების გარდა, ცდილობს, მაღალი ზნეობის ქართველები აღზარდოს. ამისთვის დიდი მადლობა!"- ამ სიტყვებით დაასრულა თავისი გამოსვლა ბატონმა ზურაბ ლეშკაშელმა.

წარმატებული დასაწყისი

ახალ სასწავლო წელს, ტრადიციულად, არაერთმა ნიჭიერმა, წარმატებულმა ახალგაზრდამ შემოაღო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კარი სტუდენტის სტატუსით, ყველაზე დიდ სიხარულსაც სწორედ ისინი, პირველსემესტრელები, განიცდიდნენ: ეს ხომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა მათ ცხოვრებაში – არა მხოლოდ ქვეყანაში, რეგიონში საუკეთესო და პრესტიჟული უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტები გახდნენ.

უნივერსიტეტიც შესაბამისად დახვდა და დიდი სიხარულით შეეგება გამორჩეულ სტუდენტებს: ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე ათ ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე პირველსემესტრელს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცა, მათ შორის ყველაზე მაღალრეიტინგულს, მედიცინის ფაკულტეტის პირველსემესტრელს, ნიკა კახნიაშვილს, თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, პერსონალური კომპიუტერი გადასცა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა კი განსაკუთრებული და ორიგინალური სიურპრიზით – სპეციალურად ამ დღისთვის მის შესახებ მომზადებული ვიდეორგოლით მიულოცა სტუდენტობა.

ამაღლებული და საზეიმო იყო სტუდენტების განწყობაც ამ მნიშვნელოვან დღეს. ჩვენ ორ მაღალრეიტინგულ პირველსემესტრელს: ნიკა კახნიაშვილს და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე ჩარიცხულ მარიამ სარალიძეს გავესაუბრეთ, რომლებიც სიამოვნებით იხსენებენ სტუდენტობამდელ პერიოდს და ეჭვიც არ ეპარებათ, რომ უნივერსიტეტში გატარებული სტუდენტობის წლები კიდევ უფრო ნაყოფიერი, საინტერესო და შთაბეჭდილებებით დატვირთული იქნება...

ნიკა კახნიაშვილის შესახებ ზემოაღნიშნული ვიდეორგოლიდან შევიტყვეთ, რომ სკოლის პერიოდიდანვე ერთ-ერთი გამორჩეული, ნიჭიერი და შრომისმოყვარე მოსწავლე გახლდათ. ჩვენთან საუბრისას იგი აღნიშნავს: „ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღწეული შედეგით კმაყოფილი ვარ – მიხარია, რომ ჩემ მიერ გაწეული შრომა დამიფასდა და დაგროვილი ცოდნის დახმარებით ეს გამოწვევა მარტივად გადავლახე"...

პროფესიული არჩევანი დამოუკიდებლად, ვინმეს რჩევის თუ ჩარევის გარეშე, გააკეთა, რადგან მედიცინა მისთვის ბავშვობიდანვე საინტერესო სფერო იყო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი კი – ერთ-ერთი საუკეთესო, მდიდარი ისტორიის და ტრადიციების მქონე გამორჩეული უმაღლესი სასწავლებელი, სადაც, დარწმუნებულია, რომ მაღალი ხარისხის სამედიცინო განათლების მიღებას შეძლებს მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლების დახმარებით.

ნიკასთვის უმნიშვნელოვანესია ის, რომ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობით თუ უცხოეთის კლინიკებში სტაჟირებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი პროფესიული ზრდის შესაძლებლობას მისცემს.

უკვე, როგორც მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი, აქტიურად ჩაერთო სასწავლო პროცესში, დიდ დროს უთმობს მეცადინეობას და თავისუფალი დრო ნაკლებად რჩება, თუმცა დარჩენილ პერიოდში ახერხებს მხატვრული ლიტერატურის კითხვას, ფილმების ნახვას, ხატვას... განსაკუთრებით უყვარს მოგზაურობა, ოჯახთან ერთად დასვენება და ყოველთვის ინტერესით ეცნობა ინფორმაციას ახალი აღმოჩენების შესახებ სხვადასხვა სფეროში.

ის, რაც ყველაზე მეტად აინტერესებს გენეტიკა, მოლეკულური და უჯრედული ბიოლოგიაა: „ეს სფერო მედიცინასთან პირდაპირ კავშირშია და, შესაძლოა, მას დავუკავშირო მომავალი საქმიანობა. სურვილი მაქვს, სწავლა უცხოეთში გავაგრძელო და საფუძვლიანი ცოდნა შევიძინო ამ მიმართულებით," – აღნიშნავს ნიკა.

შესაძლოა, ოდნავ ამბიციური, მაგრამ სრულიად კეთილშობილური სურვილი აქვს: წვლილი შეიტანოს ჩვენი ქვეყნის და მთელი მსოფლიოს განვითარებასა და უკეთესობისკენ შეცვლაში, რაშიც, ვფიქრობთ, ნიჭიერება და შრომისმოყვარეობა დაეხმარება...

მარიამ სარალიძეც უკვე საოცნებო უმაღლესი სასწავლებლის – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტია; უნივერსიტეტში მაღალი ქულებით ჩაირიცხა, თუმცა, თვლის, რომ უკეთესი შედეგის ჩვენება შეეძლო: „მაღალი კონკურენციის პირობებში თითოეულ ქულას გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებდი, თუმცა დღეს უკვე მღელვარებამ ჩაიარა და ბედნიერი ვარ, რომ თსსუ-ის სტუდენტი გავხდი". ცხადია, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა მისი შემთხვევითი კი არა, კარგად გაცნობიერებული არჩევანია იმ სირთულეების გათვალისწინებით, რაც პროგრამაზე სწავლას ახლავს – იცის, რომ ბევრი შრომა დასჭირდება და მზად არის ამ გზაზე შემხვედრი პრობლემების დასაძლევად, რადგან მიზანდასახული გოგონასთვის სირთულე და წინაღობა მეტი სტიმულია გახდეს უკეთესი და მიაღწიოს დასახულ მიზანს....

მარიამი დარწმუნებულია, რომ მის მომავალ წარმატებულ სამედიცინო კარიერას საფუძვლად სწორედ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მიღებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, განათლება დაედება – თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე სწავლა ხომ საერთაშორისოდ აღიარებული, კომპეტენტური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების ჩამოყალიბების საუკეთესო წინაპირობაა.

ჯერ კარგად არ იცნობს უნივერსიტეტს, თუმცა მოსწონს სტუდენტობა და კმაყოფილი და მადლიერია ადმინისტრაციის, რომელიც ცდილობს სტუდენტებს ახალ გარემოში ადაპტირება გაუადვილოს...

ბავშვობიდანვე მრავალმხრივი ინტერესის მქონე გოგონა ადრე უფრო დიდ დროს უთმობდა ცეკვას, მუსიკას, თეატრს, დღეს ამას ვეღარ ახერხებს, თუმცა ყოველი შეხება თუ ურთიერთობა ხელოვნებასთან დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

რაზე ოცნებობს? – ჯერ კიდევ ბავშვობაში, როცა სამედიცინო სერიალებს ინტერესით ადევნებდა თვალს, ქირურგის პროფესია განსაკუთრებით იზიდავდა, დღესაც დიდი სურვილი აქვს ქირურგი გახდეს, თუმცა არც იმას გამორიცხავს, მომავალში გადაწყვეტილება შეცვალოს და სულ სხვა არჩევანი გააკეთოს, მთავარია, უყვარდეს საკუთარი საქმე, იყოს წარმატებული და სინანულით არასოდეს გაიხსენოს განვლილი წლები...

მათ უკვე გააკეთეს არჩევანი და დარწმუნებულები არიან, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მრავალფეროვან, საინტერესო სტუდენტობის წლებს გაატარებენ, რომ ეს იქნება პირველი და მნიშვნელოვანი საფეხური მათი პროფესიული აღმასვლის გზაზე და მომავალში, უკვე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, მნიშვნელოვან სიტყვას იტყვიან ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში.

ნატო გოლქვაძე

დღე პირველი



19 სექტემბერი განსაკუთრებული დღე იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის! ის ყველაზე მეტად ემოციურად პირველსემესტრელებისთვის წარიმართა.

საზეიმოდ მოწყობილ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსების ეზოში ჟღერდა მუსიკა. პირველსემესტრელებს აუცილებლად გამოარჩევდით გაბრწყინებული სახეებითა და მღელვარებით. თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მათთვის არაერთი სიურპრიზი მოამზადა. ასევე, მოწყობილი იყო თვითმმართველობის სივრცე, სადაც მათ შეეძლოთ ჯერ კიდევ ახალ, უცხო სივრცეში ადაპტირებისთვის ყველა საჭირო ინფორმაციის მიღება, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტისა და სხვა წევრების გაცნობა.

პირველსემესტრელები აღნიშნავდნენ, რომ თსსუ-ის რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, მისალოც სიტყვაში მათ დაინახეს ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რაც თსსუ-ის სტუდენტად გახდომისთანავე აიღეს საკუთარ თავზე.

პირველი დღე მრავალფეროვან, საინტერესო ღონისძიებებს მოიცავდა და დაუვიწყარი იყო თითოეული მათგანისათვის.

ლექცია სპორტულ მედიცინაში

12 ოქტომბერს, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის განათლების დეპარტამენტის ინიციატივით, გაიმართა ღონისძიება თემაზე: „სპორტული მედიცინა ფეხბურთში“. სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ, მოესმინათ საფეხბურთო კლუბ „თბილისის ლოკომოტივის“ აკადემიის ფიზიკური თერაპევტისთვის – ქალბატონი ინგა ჯანეზაშვილისთვის. ლექცია ორი თემისგან შედგებოდა: „შლატერის გამომწვევი მიზეზები, დიაგნოსტიკა“ და „რეაბილიტაციისა და პოსტრეაბილიტაციის პერიოდი და პრევენცია“. სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს პრაქტიკულ სამუშაოში, კერძოდ, საკუთარი ძალით მოსინჯეს შლატერის ფიქსაცია და მუხლის სახსრის ტეიპინგი.

სტუდენტური თვითმმართველობა მადლობას უხდის ქალბატონ ინგა ჯანეზაშვილს, საინტერესო ლექციისა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებისთვის.

გაცნობითი ღონისძიებები პირველსემესტრელთათვის

ახალი სასწავლო წლის დადგომასთან ერთად, მუშაობას აგრძელებენ სამეცნიერო კლუბები და არასამთავრობო ორგანიზაციები. მათ მიერ სასწავლო სემესტრის განმავლობაში მედიცინის აქტუალურ საკითხებზე სტუდენტთათვის არაერთი საინტერესო ლექცია, კონფერენცია, პროექტი იქნება შეთავაზებული.

28, 29, 30 სექტემბერს, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ხელშეწყობით, გაიმართა ორგანიზაციების გაცნობითი ღონისძიებები.

28 და 29 სექტემბერს სტუდენტთა წინაშე წარსდგნენ ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ხელმძღვანელი ლევან ცაგურია და GAFE-ის ხელმძღვანელი და წარმომადგენელი თსსუ-ში მედეა ჩხეიძე. 30 სექტემბერს, ორგანიზაციის, მისი არსის, მიზნების, დანიშნულებისა და სტრუქტურის შესახებ ისაუბრა EMSA-ს ხელმძღვანელმა ეკატერინე შუბითიძემ და EFSA-ს ხელმძღვანელმა ლიზი თომაძემ.

გაცნობითი შეხვედრის შემდეგ, სტუდენტები გაწევრიანდნენ მათთვის საინტერესო ორგანიზაციებში.

„WELCOME PARTY“

9 ოქტომბერს, გაიმართა ყველასთვის მონატრებული, ენერგიული და დაუვიწყარი „WELCOME PARTY“. უამინდობის მიუხედავად, სტუდენტები ხალისით ჩაერთვნენ თამაშში. მათთვის მოწყობილი იყო გასართობი სივრცე სხვადასხვა სპორტული თამაშისთვის: მინი გოლფსა და მაგიდის ჩოგბურთში, სამაგიდო ფეხბურთსა და მშვილდ-ისრის სროლაში. თამაშისა და ასპარეზობის შემდეგ, სტუდენტთა წინაშე წარდგა ყველასათვის საყვარელი ბენდი – „Killages“, რომელმაც ენერგიული, შთამბეჭდავი და ემოციებით სავსე პერფორმანსი წარმოადგინა.

განსაკუთრებით სახალისო, მრავალფეროვანი საღამო გემოვნებიანი მუსიკით დასრულდა.

გასვლითი ტური ბოდბესა და სიღნაღში

სტუდენტობის ხანა ერთ-ერთი დაუვიწყარი და განუმეორებელი პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც სავსეა დადებითი, ენერგიული, და ემოციით სავსე დღეებით.

სტუდენტური ცხოვრება სწავლასთან ერთად, საგანმანათლებლო, შემეცნებითი, კულტურულ-სპორტული ღონისძიებებითაა დატვირთული, ერთმანეთის უკეთ გაცნობისა და დაახლოების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება კი, ექსკურსიები და გასვლითი ტურებია.

25 სექტემბერს, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ პირველსემესტრელებისთვის მოეწყო პირველი გასვლითი ტური ბოდბესა და სიღნაღში. ეს დღე პირველსემესტრელებს სასიამოვნო მოგონებად დარჩებათ; ბევრი მათგანისთვის ხომ ეს ტური ახალი კონტაქტების და მეგობრების შეძენის სიმბოლოდ იქცა.

სტუდენტური თვითმმართველობა – მომავლის პერსპექტივით

26 სექტემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ახალი შემადგენლობა სტუდენტების წინაშე წარსდგა. როგორც სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა, ლადო გაბეჩავამ, აღნიშნა, ახალი გუნდის მიზანია, მაქსიმალურად მრავალფეროვანი გახადონ სტუდენტური ცხოვრება და დაეხმარონ სტუდენტებს, როგორც პროფესიულ, ასევე, სხვადასხვა მიმართულებით განვითარებაში. ამის ხელისშემწყობია მათ მიერ დაგეგმილი მრავალფეროვანი პროექტები.

სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურასა და გეგმებზე პირველსემესტრელებს ინფორმაცია მიაწოდეს თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტებმა: მარიამ მერაბიშვილმა, ლაშა კენჭუაშვილმა, თორნიკე ფუტკარაძემ და კარტიკ ვენკატრამანმა, მედიცინის, სტომატოლოგიის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფარმაციის, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტების თვითმმართველობის ხელმძღვანელებმა: ეკატერინე შუბითიძემ, ანი როსტომაშვილმა, გიორგი მაჭავარიანმა, დაჩი ლაკვეხელიანმა, ოთო ჩოჩიამ, ისაუბრეს იმ საკითხებზე, რაც ახალარჩეული გუნდის წინაშე დგას. აღინიშნა, რომ სამომავლო გეგმები მოიცავს ქვეყანაში არსებულ სახელმწიფო უწყებებთან და ორგანიზაციებთან, საქველმოქმედო ფონდებთან, სხვადასხვა უნივერსიტეტების თვითმმართველობის გუნდებთან და სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, ერთობლივად განსახორციელებელ პროექტებს, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ აქტივობებს.

პრეზენტაციამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ღონისძიების დასასრულს პირველსემესტრელთათვის მუსიკალური ნომრები შეასრულა ჯგუფმა, „Big Band“-მა.

გაიღე სისხლი – გადაარჩინე სიცოცხლე

ერთი ადამიანის მიერ უანგაროდ ჩაბარებულ სისხლს, შეუძლია რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინოს. მსგავს საქველმოქმედო აქტივობებში მონაწილეობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების ვალია. ჰუმანური პროფესიის მსახურთ, კარგად მოეხსენებათ, ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად რაოდენ მნიშვნელოვანია მათ მიერ უანგაროდ გაღებული სისხლი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და სტუდენტობა დონაციის სარგებლობასა და აუცილებლობაში, ყველაზე უკეთ ერკვევა, ამიტომაც მუდმივად აქტიურად უჭერს მხარს აქციაში – „გაიღე სისხლი – გადაარჩინე სიცოცხლე“ – მონაწილეობას. ყოველწლიურად, თსსუ-ის ყველა ფაკულტეტის წარმომადგენლები, მათ შორის – საერთაშორისო ფაკულტეტის სტუდენტები, ადმინისტრაციისა და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები სისხლს აბარებენ მათთვის, ვისთვისაც ეს სასიცოცხლოდ აუცილებელია. წელს, 5 ოქტომბერს, სისხლის უანგარო დონაციაში მონაწილეობა 70-მა პირმა მიიღო. მსგავსი ღონისძიებები მომავალშიც არაერთხელ ჩატარდება.

სპორტული ცხოვრების კალეიდოსკოპი

ახალი სასწავლო წლის დადგომასთან ერთად, სტუდენტები აქტიურად ჩაებნენ სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით დაგეგმილ სპორტულ ასპარეზობებში.

ახლახან, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის მიერ ჩატარდა სპორტული ტურნირი ჭადრაკში, ნარდში, შაშში, მაგიდის ჩოგბურთსა და ბადმინტონში, რომელშიც თსსუ-ის ქართული და საერთაშორისო ფაკულტეტების სტუდენტები მონაწილეობდნენ. ჭადრაკში გამოვლინდნენ გამარჯვებულები: გიორგი კუხალეიშვილი (I ადგილი), ვასილ თოდუა (II ადგილი), არას სულეიმანოვი (III ადგილი); ნარდში გამარჯვებულებს შორის ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა: გიორგი კალატოზი (I ადგილი), საბა გურგენიძე (II ადგილი), ვაჩე ენუქიძე (III ადგილი); შაშში – ალექსანდრე ჩიქოვანი (I ადგილი), ელენე ფორჩხიძე (II ადგილი), რატი ისიანი (IIIადგილი); მაგიდის ჩოგბურთში მონაწილე გოგონებს შორის გამარჯვება მოიპოვეს: ზეჰრა ბაირამოღლუ (I ადგილი), ნონა ბოლქვაძე (IIადგილი), Arshitha Godesh Ragini (IIIადგილი); ვაჟებში I, II, III ადგილები დაისაკუთრეს: გიორგი ლიპარტიამ, სანდრო ქობალავამ და საბა ბიწაძემ. ბადმინტონის ტურნირში მონაწილეობდა თსსუ-ის 200-მდე სტუდენტი, როგორც გოგონები ისე ვაჟები. გოგონებიდან გაიმარჯვეს: ირინა კირკიტაძემ, მარიამ აბესაძემ, Harshitha Jogesh Ragini; ვაჟებს შორის ტურნირში გამარჯვება წილად ხვდათ: Hari Shankar, Kevin Mattehew, Imal Weerasinghe.

სპორტული ღონისძიებები სამომავლოდაც გაგრძელდება.

გვერდი მოამზადა მედიცინის ფაკულტეტის VII სემესტრის სტუდენტმა, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელმა, ეკატერინე შუბითიძემ

ახალგაზრდა პროფესიონალი – საქმის და ქვეყნის სიყვარულით

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის არაერთი კურსდამთავრებული წარმატებულ პროფესიულ საქმიანობას ეწევა როგორც სამშობლოში, ისე უცხოეთში. სასიხარულოა, რომ მათ შორის, უკვე ღვაწლმოსილ, სახელოვან პროფესიონალებთან ერთად, მოიაზრებიან ახალგაზრდებიც, რომლებიც, სამედიცინო კარიერის საწყის ეტაპზევე გამორჩეულები, ცდილობენ მნიშვნელოვანი სიტყვა თქვან მედიცინის განვითარებაში. ერთი მათგანია ჩვენი ახალგაზრდა რესპონდენტი, თსსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, რომელიც უნივერსიტეტში სწავლისას ერთ-ერთი წარმატებული და მაღალრეიტინგული სტუდენტი გახლდათ; თსსუ-ის დამთავრების შემდეგ, დიპლომისშემდგომი პროფესიული მომზადების პროგრამა (რეზიდენტურა) უკრაინაში, ქალაქ პოლტავაში გაიარა. აქ გატარებულ წლებს იგი გარდამტეხად და პროფესიული განვითარების კუთხით უმნიშვნელოვანეს ეტაპად მიიჩნევს. სწორედ ამ პერიოდში შეისწავლა მან უკრაინული ენაც, რადგან თვლის, რომ საჭიროებაზე მეტად, ეს იმ ქვეყნის მიმართ პატივისცემის გამოხატულებაა, სადაც გიხდება ცხოვრობა და საქმიანობა, მით უფრო, თუკი იგი საქართველოს მეგობარი ქვეყანა – უკრაინაა...

აღსანიშნავია, რომ გარდა უკრაინულისა, ის თავისუფლად ფლობს ინგლისურ, გერმანულ, რუსულ ენებს, რაც მნიშვნელოვანია და ეხმარება პროფესიულ წარმატებაში. სულ ერთი წელია, რაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ორთოდონტიის დეპარტამენტში მოწვეული პედაგოგია – სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს პროფესიის საფუძვლებს აზიარებს; არის თსსუ-ის დოქტორანტთა წამახალისებელი პროგრამის ერთ-ერთი პირველი მონაწილე და მადლიერებას გამოხატავს, რომ უნივერსიტეტმა დიდი მხარდაჭერა გამოუცხადა და, სწავლის და კვლევის დაფინანსების გარდა, პროგრამის ფარგლებში, ყოველთვიური სტიპენდია დაუნიშნა. აღსანიშნავია, რომ ის გახლდათ პირველი და, დღესდღეობით, ერთადერთი დისერტანტი, რომელმაც დროულად, განსაზღვრულ ვადაში, დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა სტომატოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.

*2019 წლიდან იგი სტომატოლოგიის კლინიკა და სასწავლო-კვლევითი ცენტრ „უნიდენტის“ ორთოდონტია, სადაც, ასევე, 2020 წლიდან, მონაწილეობს რეზიდენტთა მომზადებაში; პროფესიული არჩევანი ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ გააკეთა, დღეს კი კლინიკურ და პედაგოგიურ საქმიანობას წარმატებით უთავსებს ერთმანეთს და სხვაგვარად ვერც წარმოუდგენია; ბედნიერია, რომ პროფესიონალთა ისეთი გუნდის წევრია, როგორიც „უნიდენტია“ და ცხოვრებამ ისეთ ადამიანებს შეახვედრა, ვისგანაც, პროფესიული უნარ-ჩვევების შესწავლა-შეთვისების კვალდაკვალ, დადებითი ემოციებიც უხვად მიიღო და სასიამოვნო ადამიანური ურთიერთობებიც შედგა... ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება თსსუ-ის კურსდამთავრებულის, ახალგაზრდა პროფესიონალის, თსსუ-ის მოწვეული მასწავლებლის, სტომატოლოგიის აკადემიური დოქტორის, **ავთანდილ ბაქრაძის** მიერ განვლილი საინტერესო გზა, რომელზეც თავადვე გვიამბობს:*

– 2016 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტი. პროფესიული არჩევანი სკოლის პერიოდში ჩატარებულმა ორთოდონტიულმა მკურნალობამ განსაზღვრა – სწორედ მაშინ გადავწყვიტე გავმხდარიყავი ორთოდონტი. სიამოვნებით გავიხსენებ სტუდენტობის წლებს – გარდა მრავალფეროვანი, შთაბეჭდილებებით დატვირთული და საინტერესო პერიოდისა, ეს მნიშვნელოვანი გახლდათ იმ კუთხითაც, რომ სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისი იყო ცხოვრებაში. საბაზისო სამედიცინო განათლება სწორედ ამ უნივერსიტეტში მივიღე, რაც ერთგვარი ტრამპლინი იყო პროფესიული განვითარების გზაზე. გარდა ამისა, ამ პერიოდში შევიძინე საუკეთესო მეგობრები, რომლებიც დღემდე მომყვებიან...

– როგორი განცდა გაქვთ დღეს, როცა მშობლიურ Alma Mater-ს დაუბრუნდით უკვე მოწვეული მასწავლებლის სტატუსით?

– ერთი წელია, რაც სტომატოლოგიის ფაკულტეტის ორთოდონტიის დეპარტამენტის მოწვეული მასწავლებელი ვარ. უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლიერება გამოვხატო ორთოდონტიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ **თინათინ მიქაძის** მიმართ, რომელმაც მომიწვია დეპარტამენტში და ყველა პირობა შემიქმნა პროფესიული განვითარებისთვის. ჩემთვის სტუდენტებთან ურთიერთობა დიდი პასუხისმგებლობა და ერთგვარი სოციალური აქტია, რაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ეს მნიშვნელოვანია პედაგოგისთვის, რადგან ამ ორმხრივი ურთიერთობით ჩვენც ვსწავლობთ, ცოდნის გადაცემის პროცესში მუდმივ მზადყოფნაში ვართ მეტი შემეცნებისა და ღია ურთიერთობისთვის, რასაც, ვფიქრობ, სტუდენტიც ხედავს და აფასებს. ჩემთვის, ასაკიდან გამომდინარე, კიდევ უფრო სასიამოვნო და ადვილია მათთან ურთიერთობა, კარგად ნაცნობი და ახლობელია მათი ცხოვრების წესიც და ინტერესებიც. დიდი ხანი არაა, რაც ეს ეტაპი გავიარე და კარგად მახსოვს მაშინდელი სურვილები, გნებავთ, მოთხოვნები, რის გათვალისწინებასაც, დღეს, როცა თავად მიხდება პედაგოგიური საქმიანობა, შეძლებისდაგვარად, ვცდილობ. ვარ ქართული და ინგლისურენოვანი ჯგუფების მასწავლებელი და სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ არაჩვეულებრივი თაობა მოდის, რაც ძალიან მახარებს...

– როგორი იყო დიპლომისშემდგომი განათლების წლები ჩვენს მეგობარ ქვეყანაში - უკრაინაში და როგორ გაიხსენებთ ქართულ-უკრაინულ ურთიერთობებს?

– 2016 წელს ჩავირიცხე უკრაინის ქალაქ პოლტავას სამედიცინო-სტომატოლოგიურ აკადემიაში (დღეს – პოლტავას სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი) პოსტდიპლომურ პროგრამაზე ორთოდონტიის განხრით, რომელიც 2018 წელს დავამთავრე. ეს პერიოდი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდილების მიღების თვალსაზრისით – უცხო გარემოში სრულიად მარტოს მიხდებოდა პრობლემებთან გამკლავება, დასაყრდენი და იმედიც მხოლოდ საკუთარი თავი გახლდათ, რამაც ძალიან გამაძლიერა. უპირველესად, გავიხსენებ ჩემს მასწავლებელს, პროფესორ **ლიუბოვ სმაგლიუკს.** მან ღრმად ჩამახედა პროფესიის არსში და დამანახა გზა, რომელმაც შემდგომ ჩემი პროფესიული განვითარება განაპირობა.

უკრაინაში ყოფნის პერიოდიდან ბევრი რამის გახსენება შეიძლება, მაგრამ, ალბათ, განსაკუთრებით აღსანიშნავია უკრაინის სამედიცინო სტომატოლოგიური აკადემიის ახალგაზრდა მკვლევართა კონკურსში – „აქტუალური საკითხები კლინიკურ მედიცინაში“ – მონაწილეობა, სადაც ჩემ მიერ წარდგენილმა მოხსენებამ პირველი ადგილი დაიმსახურა და დაიბეჭდა აღნიშნული აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებულში.

უკრაინაში ყოფნისას შევისწავლე უკრაინული ენაც. ჩემმა სურვილმა, ადგილობრივებთან ურთიერთობამ და ამ ენაზე კომუნიკაციის მცდელობამ შედეგი გამოიღო. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი უკრაინული საუკეთესოა, თუმცა ვცდილობ, ამ კუთხით უფრო გავიღრმავო ცოდნა... რაც შეეხება ქართულ-უკრაინულ ურთიერთობებს, უკრაინაში ყოფნის პირველივე დღიდან მხოლოდ გულღია, პოზიტიური დამოკიდებულობა იგრძნობოდა ჩვენდამი, მეტიც – არ შემხვედრია ადამიანი, ვინც დადებითად არ ყოფილიყო განწყობილი ქართველებისადმი. განცდას, რომ ჩვენ ვართ მართლაც მოძმე ერი, სწორედ მათი დამოკიდებულება მაგრძნობინებდა.

– ომმა ბევრი რამ შეცვალა, თუმცა, საბედნიეროდ, ამ ურთიერთობას ვერაფერი დააკლო და ასე იქნება მომავალშიც, რაც თითოეული ჩვენგანის არა მხოლოდ სურვილი, ურყევი რწმენაა...

– დიახ, ომი არა მხოლოდ ფიზიკურად ანადგურებს ადამიანებს და ინფრასტრუქტურას, არამედ ცვლის ურთიერთობებს, თუმცა, საბედნიეროდ, ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობა გრძელდება და მჯერა, მომავალშიც ასე იქნება. ჩემი რამდენიმე უკრაინელი მეგობარი დღეს ბრძოლის წინა ხაზზეა, სიამაყესთან ერთად სევდანარევი შეგრძნებაა, როცა, მათ შორის, ხედავ შენს ყოფილ პაციენტებსაც. ისინი, სულ რამდენიმე წლის წინ სრულიად ბავშვები, დღეს თავგანწირვით იბრძვიან სამშობლოსთვის... რაღა უნდა დაამატო, გარდა იმისა, რომ გმირები არიან!..

– რეზიდენტურაში სწავლის შემდგომ, რამდენადაც ვიცით, გერმანიაშიც იმყოფებოდით სტაჟირებაზე...

– გერმანია ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობი ქვეყანა გახლდათ ჯერ კიდევ სტუდენტობიდან, როცა იქ გაცვლითი პროგრამებით და სტაჟირებაზე ვიმყოფებოდი. რეზიდენტურაში სწავლის და შემდგომ პერიოდშიც გავიარე სტაჟირება ქალაქ ვურცბურგის საუნივერსიტეტო კლინიკაში. ცხადია, ეს პერიოდიც დასამახსოვრებელი და ნაყოფიერი იყო პროფესიული დახელოვნების კუთხით.

– უკრაინიდან დაბრუნების შემდეგ სტომატოლოგიის კლინიკა და სასწავლო-კვლევით ცენტრ „უნიდენტში“ ორთოდონტად მუშაობთ... გვიამბეთ თქვენს კლინიკურ საქმიანობასა და გარემოზე, სადაც პროფესიული მოვალეობის შესრულება გიხდებათ.

– სტომატოლოგიის კლინიკა და სასწავლო-კვლევით ცენტრ „უნიდენტზე“ დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო მხოლოდ დადებით კონტექსტში. ეს გახლავთ პროფესიონალთა ღირსეული გუნდი საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატის, პროფესორ **მარინა მამალაძის** (თსსუ-ის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის პრეზიდენტი, სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეჯის – **ICD**-ის – ჩრდილო-აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სექციის ვიცე-რეგენტი) ხელმძღვანელობით, სადაც სიყვარულით და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან პროფესიულ საქმიანობას, სადაც ყველა პირობაა შექმნილი, რომ ექიმმა პროფესიული ღირსების შეგნებით აკეთოს საკუთარი საქმე და კიდევ უფრო განვითარდეს. „უნიდენტი“, ამასთან, არის დიდი ოჯახი, სადაც იგრძნობა თავისუფლების მაღალი ხარისხი. ვგულისხმობ, კონკრეტული კლინიკური შემთხვევის თუ სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტისას, ინდივიდუალური მიდგომის გამოხატვის და მისი რეალიზების შესაძლებლობას – ჩვენ აქ ვართ თავისუფლები, რაც, ვფიქრობ, პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია. ამ კლინიკაში მომეცა საშუალება შემესრულებინა სადისერტაციო ნაშრომი, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პროფესორი **ირინე კვაჭაძე** გახლდათ.

კლინიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით გეტყვით, რომ ორთოდონტია ყბა-სახის და კბილთა სისტემის ანომალიების ეტიოლოგიას, მკურნალობას და პროფილაქტიკას მოიცავს და, პროფესიონალიზმთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაღალტექნოლოგიური სამედიცინო აპარატურის გამოყენებას, რითაც აღჭურვილია კლინიკა, რომელიც თანამედროვეობის მოთხოვნებს სრულად პასუხობს ყველა ასპექტის გათვალისწინებით, რაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პაციენტების, არამედ დასაქმებული პერსონალისთვისაც.

– როგორია თქვენი გეგმები, ასევე, სურვილები მშობლიური უნივერსიტეტისადმი, რჩევები – მომავალი კოლეგებისადმი...

– ცხადია, ვაგრძელებ კლინიკურ და პედაგოგიურ საქმიანობას. არის შემხვედრი სირთულეებიც ამ გზაზე, ხან ისე სრულყოფილად ვერ გამომდის ყველაფერი, თუმცა სურვილი დიდია, რადგან მომწონს ის საქმე, რასაც ვაკეთებ, ვერც ერთს გამოვარჩევ, ორივეში ვცდილობ ჩავდო დიდი შრომა და პასუხისმგებლობა, რაც, იმედია, შედეგიანია.

სიამოვნებით ვისაუბრებ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტზე, რომლის წარმატებებიც, ვფიქრობ, ყველა მისი კურსდამთავრებულის წარმატებაცაა და – პირიქით. მახარებს, რომ იგი სულ უფრო და უფრო, თანამედროვეობის შესატყვისად, ვითარდება. შესამჩნევი და სასიხარულოა სასიკეთო ცვლილებები ინფრასტრუქტურის განვითარების და სამედიცინო განათლების მაღალი სტანდარტის დამკვიდრების კუთხით, რაც სტუდენტს ცოდნის მაღალ დონეზე მიღების შესაძლებლობას აძლევს. ცხადია, ეს, უპირველად, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის დამსახურებაა.

ჩემს Alma Mater-ს ვუსურვებ დიდხანს, დიდხანს იყოს სამედიცინო განათლების უპირველესი და უმნიშვნელოვანესი კერა საქართველოში და კიდევ მრავალი ღირსეული თაობა აღუზარდოს ქვეყანას. მომავალ კოლეგებს კი ვეტყოდი, რომ ნებისმიერ პროფესიაში, კონკრეტულ შემთხვევაში – სტომატოლოგიაში მსახურება თავის მიძღვნაა და აქ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სურვილი, არამედ ქმედება, რომელიც უნდა იყოს სისტემატური ხასიათის. თუკი აღმოაჩენთ, რომ პროფესიის არჩევისას შეცდით, არასოდესაა გვიანი შეცვალოთ ეს არჩევანი, რადგან დაკარგული ერთი, გნებავთ, მეტი, წელი არაფერია მთავარ მიზანთან – შედგეთ პროფესიონალად და ემსახუროთ საყვარელ საქმეს!..

ჩვენი საუბარი პროფესიის მიღმა ინტერესებსაც შეეხო და გაირკვა, რომ იგი ამ თვალსაზრისითაც გამორჩეულია – ჯერ კიდევ სტუდენტობისას აქტიურად იყო ჩართული უნივერსიტეტის კულტურულ ცხოვრებაში, რისი დასტურიც კონცერტებსა თუ კონკურსებში მონაწილეობა და სხვადასხვა დროს მიღებული არაერთი პრიზია. უკრავს თითქმის ყველა ინსტრუმენტზე, ქმნის კომპოზიციებს და, ცხადია, განსაკუთრებული სიყვარული აკავშირებს მუსიკასთან.

ქვეყნის უკეთეს მომავალზე საუბრისას მისი ყველაზე დიდი ოცნებაც გაცხადდა – გაერთიანებული და ძლიერი საქართველო!..

გზა საოცნებო საქართველოსკენ ახალი თაობის პროფესიონალიზმზე, მიზანსწრაფულობასა და ქვეყნის უანგარო სიყვარულზე გადის! ერთიანი და ძლიერი საქართველოს იდეის ხორცშესხმა და თაობების ოცნების რეალობად ქცევა სწორედ განსწავლულ, მოტივირებულ, მუდმივად ზრდა-განვითარებაზე ორიენტირებულ ახალგაზრდობას ხელეწიფება, რომლის ერთი ღირსეული წარმომადგენელი თავად ავთანდილ ბაქრაძეა – პროფესიონალი, საინტერესო პიროვნება და არაჩვეულებრივი ადამიანი.

თსსუ-ში სტუმრად მყოფ უკრაინის დელეგაციასთან

ნატო ბოლქვაძე

გილოცავთ!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დღეს წარმოადგენს იმ პედაგოგთა და მეცნიერთა თავდაუზოგავი შრომის შედეგს, რომლებმაც ღირსეულად ატარეს თსსუ-ელის სახელი და თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს მის განვითარებაში. ერთ-ერთი მათგანია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ისტორიისა და ბიოეთიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი რამაზ შენგელია, ვისი საქმიანობაც როგორც პრაქტიკულ, პედაგოგიურ, სამეცნიერო და საგანმანათლებლო, ისე პუბლიცისტურ სფეროსაც მოიცავს.

ბატონი რამაზი, როგორც კლინიცისტი და ექსპერიმენტატორი, თსსუ-ის საუკეთესო პედაგოგთა აღზრდილია. თუმცა, მისი ინტერესის სფერო გასცდა პრაქტიკული სამედიცინო მუშაობის საზღვრებს. მამის, ქართული მედიცინის ისტორიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, პროფესორ მიხეილ შენგელიას, საქმის ღირსეული გამგრძელებლის, არაერთი მნიშვნელოვანი კვლევა შეემატა ქართული მედიცინის ისტორიას. მხოლოდ დიდი ქართველი წმინდანის, ,,უვერცხლო მკურნალად" შერაცხული ილარიონ ქართველის, განსასვენებლის მოძიება და ამ თემის ირგვლივ საინტერესო კვლევების წარმოება რად ღირს! ასევე, უმნიშვნელოვანესია „ქართული სამედიცინო ხელნაწერების კატალოგი" და სხვა არანაკლებ მასშტაბური კვლევები.

მისი ძალისხმევით განახლდა ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შემადგენელი ნაწილი გახდა და კავკასიის რეგიონში ამ პროფილის ერთადერთი მუზეუმია, რომელიც ახალგაზრდების ცოდნის ამაღლებისა და განვითარების მნიშვნელოვან ცენტრად იქცა.

ბატონი რამაზი, 1996 წელს, ლონდონის უნივერსიტეტში მივლინებისას, დაინტერესდა ბიოარქეოლოგიისა და პოპულაციური გენეტიკის საკითხებით. პენსილვანიის უნივერსიტეტის მეცნიერებთან ერთად, დაიწყო მასშტაბური პროექტის – საქართველოს ეთნიკური ისტორიის განხორციელება. პოპულაციური გენეტიკის კუთხით მის მიერ შესწავლილია სვანეთის, სამეგრელოს, აჭარის და გურიის მოსახლეობა. იგი 2013 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქართველოს (კავკასიის) გენოფონდის შემსწავლელი კომისიის სწავლული მდივანი.

პროფესორი რამაზ შენგელია ავტორია 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, დაჯილდოებულია ალ ჯაზარის მედლითა და დიპლომით (ტუნისი), ასევე, „მე-20 საუკუნის გამოჩენილი ადამიანების" მედლითა და დიპლომით (კემბრიჯი, ინგლისი), მარი კიურის სახელობის, გიორგი ათონელის საპატიო მედლებით, მინიჭებული აქვს არაერთი პრემია საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისთვის, როგორც საქართველოს, ასევე, საერთაშორისო მასშტაბით.

წელს პროფესორ რამაზ შენგელიას, დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი იუბილეს ულოცავს ბატონ რამაზ შენგელიას, უსურვებს ჯანმრთელობას, წინსვლას, წარმატებებს!

70 წლის წინ, 28 სექტემბერს, ალავერდობის დღესასწაულზე, ექიმების ოჯახში, დაიბადა მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, მადლიანი ქართველი – ჩვენი რამაზ შენგელია.

ჯერ კიდევ სტუდენტი, ჩვენთან ერთად დიდი ინტერესით მონანილეობდა მამის, – პროფესორ მიხეილ შენგელიას მიერ ორგანიზებულ სამედიცინო-ეთნოლოგიურ ექსპედიციებში. ალპინისტის ჟინით შეპყრობილი, მთაში ყოფნისას, აუცილებლად ჩაერთვებოდა ქვემო თუ ზემო სვანეთის, ლეჩხუმის თუ ხევის, თუშეთის თუ ხევსურეთის ექსპედიციებში და ასე მოვიარეთ მთელი საქართველო. ზაფხულის თვეებში ერთ ოჯახად ვცხოვრობდით, მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმის შესრულებისას ერთმანეთთან შესაშური, ახალგაზრდული გულწრფელობა, სიყვარული და ერთგულება გვაერთიანებდა. საღამოობით, დაუვიწყარი საუბრები გვქონდა ხელოვნებაზე, მუსიკაზე, კინოზე, ლიტერატურაზე, რამაზის ადრეულ მოთხრობებზე.

მოგვიანებით, რამაზმა, უკვე შემდგარმა მეცნიერმა, ექიმმა, შეცვალა ბატონი მიხეილ შენგელია და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა ჯერ მედიცინის ისტორიის კათედრას, ამჟამად კი განაგებს მედიცინის ისტორიის და ბიოეთიკის დეპარტამენტს, ასევე – ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმს. ჩვენი ურთიერთობა ახალ განზომილებაში გადავიდა, ეს არ იყო მხოლოდ მშრალი თანამშრომლობა ან ოფიციალური უფროს-უმცროსობა. რამაზმა გამოავლინა გასაოცარი მენეჯერული თვისებები, საერთო საქმისადმი ერთგულება, მომავალი მეცნიერული კვლევების სწორი ხედვა, ერთმანეთის აზრის გაზიარება-გათვალისწინება, კოლეგიალობა. ყოველივე ამან ჩვენი ურთიერთობა უფრო შეადუღაბა ერთ ოჯახად, რაც დიდ წილად ისეთმა თვისებებმა განაპირობა, როგორიცაა კაცთმოყვარეობა, დიდსულოვნება, კეთილგონიერება, სხვისი ჭირ-ვარამის და ლხინის გაზიარება.

აღსანიშნავია, მისი პედაგოგიური საქმიანობა, იგი ლექციებს კითხულობს და საქართველოს სიყვარულს უნერგავს ინგლისურენოვან, საერთაშორისო ფაკულტეტის სტუდენტებს და, რაც მთავარია, მათ კვალიფიკაციასა და კარიერულ ზრდაზე ზრუნავს, როგორც მედიცინის ისტორიის, ასევე, ბიოეთიკის მიმართულებით.

ღმერთმა დაგლოცოს, ჩვენო რამაზ! გილოცავთ იუბილეს და გისურვებთ ოჯახთან ერთად ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, წარმატებებს!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ისტორიის და ბიოეთიკის დეპარტამენტის და ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის თანამშრომლები.

სტაჟირებაზე ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკაში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ბილატერალური ხელშეკრულების ფარგლებში, გაცვლითი პროგრამით, 4 ივლისიდან 26 აგვისტოს ჩათვლით, ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკაში სტაჟირებაზე იმყოფებოდა თსსუ-ის ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი კარენ გრიგორიანი, 1 აგვისტოდან 11 სექტემბრამდე კი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო და დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ექიმი პათოლოგანატომი მანანა ჯიქურაშვილი.

სტაჟირების პირველი ნაწილი კარენ გრიგორიანმა შინაგანი მედიცინის N1 განყოფილების ენდოკრინოლოგიურ ამბულატორიაში გაიარა, სადაც გაეცნო იშვიათი ენდოკრინული პათოლოგიის – ადრენოკორტიკული კიბოთი დაავადებული პაციენტების მართვის ტაქტიკას. სტაჟირების მეორე ნაწილი მან ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკის ბირთვული მედიცინის განყოფილებაში გაიარა.

„საქართველოსგან განსხვავებით, ევროპის რიგ ქვეყნებში, მათ შორის, – ავსტრიასა და გერმანიაში, პაციენტებს ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებით, ენდოკრინოლოგთან ერთად, მართავს ბირთვული მედიცინის სპეციალისტი. ამიტომაც, ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო, თუ როგორ ხდება პაციენტების მართვა ბირთვული მედიცინის სპეციალისტების მიერ.

ექიმის ასისტენტებთან ერთად განვიხილავდით ფარისებრი ჯირკვლის ულტრასონოგრაფიას, სცინტიგრაფიულ და ლაბორატორიულ მონაცემებს.

ბირთვული მედიცინის ექიმების ხელშეწყობით ვესწრებოდი ტუმორ-ბორდებს, სადაც აკადემიურად, უახლოესი ინსტრუმენტული და ლაბორატორიული მეთოდების გამოყენებით, მაღალპროფესიულ დონეზე, ხდებოდა რთული ონკოლოგიური შემთხვევების განხილვა", – აღნიშნავს კარენ გრიგორიანი.

სტაჟირების დასასრულს, ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკასა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის პერსპექტივები დაისახა. კერძოდ, ავსტრიელ ენდოკრინოლოგთან ერთად დაიგეგმა იშვიათი ენდოკრინული პათოლოგიის - ადრენოკორტიკული კიბოთი დაავადებული პაციენტების მართვის მიმართულებით კვლევის ჩატარება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო და დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ექიმი-პათოლოგანატომი მანანა ჯიქურაშვილი, თსსუ-ის ორგანიზებითა და თსსუ-ის საპატიო დოქტორის, ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკის რადიაციული თერაპიისა და რადიოონკოლოგიის ცენტრის უფროსი ექიმის, **ირმა კვიცარიძის,** მხარდაჭერით, გაეცნო აღნიშნული კლინიკის პათოლოგიის განყოფილებაში პათოლოგიური სერვისების თანამედროვე მეთოდებს.

– „ჩემთვის შთამბეჭდავია ის ფაქტი, თუ როგორი რეალურია ეს დარგი გახდეს ყოველდღიური დიაგნოსტიკის განუყოფელი ნაწილი.

პირველივე დღიდან, სტაჟირების მთელი პერიოდის მანძილზე, პათოლოგანატომებთან ერთად, სრულად ვიყავი ჩართული დიაგნოსტიკის პროცესში. დღის მანძილზე მათთან ერთად განვიხილავდი სხვადასხვა შემთხვევას. განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა ექსპრეს-დიაგნოსტიკა, ე.წ. გაყინული ანათალების დიაგნოსტიკა ინტრაოპერაციულად.

გარდა ამისა, მთელი სტაჟირების მანძილზე, ყოველდღიურად განვიხილავდი, საშუალოდ, 15-20 საკონსულტაციო შემთხვევას".

აღსანიშნავია, რომ სტაჟირების დასასრულს, ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკის ლაბორატორიაში გამოითქვა აზრი და მზაობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო და დიაგნოსტიკურ ლაბორატორიასთან თანამშრომლობის შესახებ, როგორც აკადემიური, ისე პრაქტიკული მიმართულებით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში ონკოლოგიური სერვისის გაუმჯობესებისთვის.

ექიმი პათოლოგანატომი მანანა ჯიქურაშვილი და ენდოკრინოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი კარენ გრიგორიანი მადლობას უხდიან პროგრამის ხელმძღვანელს, თსსუ-ის საპატიო დოქტორს, ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკის რადიაციული თერაპიისა და რადიოონკოლოგიის ცენტრის უფროს ექიმს, ირმა კვიცარიძეს, რომლის მხარდაჭერით სტაჟირების პროცესი კარგად ორგანიზებული და ნაყოფიერი იყო.

ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები სტაჟირებაზე თსსუ-ში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ბილატერალური ხელშეკრულების ფარგლებში, გაცვლითი პროგრამით, სტაჟირების გასავლელად, თსსუ-ში ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები: მიქაელა ფუქსი, ოლივერ ელიას ფუქსი და დრექსელ ჯულიუს ჯაკობი იმყოფებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტებმა სტაჟირების ეტაპები თსსუ-ის ქირურგიის დეპარტამენტში, ზოგადი ქირურგიის დეპარტამენტში და პედიატრიის დეპარტამენტში გაიარეს.

„განსხვავებული მიდგომებია და ყოველთვის ყურადღებით ვაკვირდები სამედიცინო მანიპულაციებს. ვესწრები ოპერაციებს და ვასრულებ ასისტენტის მოვალეობას. დიდი გამოცდილება მივიღე", – განაცხადა ოლივერ ელიას ფუქსმა.

ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის კიდევ ერთი სტუდენტი, მიქაელა ფუქსი აღნიშნავს, რომ საქართველოში მიღებულმა გამოცდილებამ განსაკუთრებული უნარები შესძინა.

„საქართველოში მიღებულმა გამოცდილებამ განსაკუთრებული უნარები შემძინა, რაც ძალიან დამეხმარება წარმატებულად გავაგრძელო ჩემი საქმიანობა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ აქ ძალიან კარგი პროფესორები არიან, მათგან ბევრს ვსწავლობ", – ამბობს მიქაელა ფუქსი.

„ექიმებთან ერთად ყოველდღიურ რეჟიმში განვიხილავ პაციენტების ისტორიებს. ბევრ საინტერესო სამედიცინო შემთხვევასთან მაქვს შეხება, რაც დიდ გამოცდილებას მძენს. აქ, მართლაც, ბევრ რამეს ვსწავლობ. ყოველი კვირა სხვადასხვა კლინიკურ დეპარტამენტში ვარ. ვფიქრობ, მსგავსი გამოცდილება მომავალი ექიმისთვის ძალიან მნიშვნელოვანია", - თქვა დრექსელ ჯულიუს ჯაკობმა.

აღსანიშნავია, რომ ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების საქმიანობას საქართველოში ხელმძღვანელობდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიის დეპარტამენტის პროფესორი გია თომაძე, თსსუ-ის ზოგადი ქირურგიის დეპარტამენტის პროფესორი გიორგი ასათიანი და თსსუ-ის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი ივანე ჩხაიძე.

2022 წლის 21 ივლისს ქირურგიის დეპარტამენტს ქართულ-ავსტრიულ უნივერსიტეტებს შორის არსებული ხელშეკრულების ერთ-ერთი ინიციატორი, თსსუ-ის საპატიო დოქტორი, თსსუ-ის კურსდამთავრებული, ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკის რადიაციული თერაპიისა და რადიოონკოლოგიის ცენტრის უფროსი ექიმი ირმა კვიცარიძე ეწვია და ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების სტაჟირების პროცესს ადგილზე გაეცნო.

„ავსტრიელი სტუდენტებისგან ძალიან კარგი გამოხმაურებები აქვს თსსუ-ის დეპარტამენტებს, მათ პროფესორებს, ჩემს ქართველ კოლეგებს. სტუდენტები საუკეთესო შთაბეჭდილებებით ბრუნდებიან უკან ავსტრიაში, უზიარებენ კოლეგებს საქართველოში მიღებულ გამოცდილებას და გამოთქვამენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტაჟირების კიდევ გავლის სურვილს, რამდენიმემ კი სურვილი გამოთქვა მედიცინის სწავლა საქართველოში გააგრძელოს.

მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ქართველ კოლეგებს, რომლებიც მხარს უჭერენ პროექტს, უზიარებენ საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას საერთაშორისო სტუდენტებს. განსაკუთრებული მადლობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, ბ-ნ ზურაბ ვადაჭკორიას. ვფიქრობ, რომ ეს არის ქართული მედიცინის განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო გზა, რამეთუ ევროპა ჩვენი სახლია" - განაცხადა თსსუ-ის საპატიო დოქტორმა, ქალბატონმა ირმა კვიცარიძემ.

გარდა კლინიკური საქმიანობისა, ვიზიტის პერიოდში ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები გაეცნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, ქვეყნის ტრადიციებსა და კულტურას. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა კი მათ კახეთის ტური მოუწყო.

შინაგანი მედიცინის ქურუმი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორია მდიდარია ღირსეულ მოქალაქეთა და პროფესიონალთა სახელებით, რომლებიც მედიცინის სხვადასხვა მიმართულების განვითარების სათავეებთან იდგნენ. დღეს თანამედროვე სამეცნიერო და კლინიკური მედიცინა მათ მიერ შექმნილ მძლავრ ფუნდამენტზე წარმატებით ვითარდება. ასეთ დიდ სახელებს შორის მოიაზრება პროფესორ ბაადურ რაჭველიშვილის სახელიც, რომელსაც, გამორჩეული დამსახურების გამო, სამედიცინო საზოგადოებაში შინაგანი მედიცინის ქურუმს უწოდებენ. მას – დიდ კლინიცისტს, გასტროენტეროლოგს და საქართველოს მედიცინის ისტორიის მკვლევარს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, თერაპევტთა რესპუბლიკური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრს, საქართველოს გასტროენტეროლოგთა ასოციაციის პრეზიდენტსა და უმაღლესი სკოლის დამსახურებული მასწავლებელს, ღირსების ორდენის ორგზის კავალერს, წელს 100 წელი შეუსრულდებოდა.

ბაადურ რაჭველიშვილის ცხოვრება ქართული მედიცინის ისტორიასა და საქართველოს ისტორიასთან მჭიდრო, ორგანულ კავშირში მიმდინარეობდა.

1922 წელს, საქართველოში ძალიან მტკივნეული პოლიტიკური ძვრების პერიოდში, თბილისში, ცნობილი ჟურნალისტისა და ისტორიკოსის, ქრისტეფორე რაჭველიშვილის და ექიმ-სტომატოლოგის, ნინო ხარატიშვილის ოჯახში დაიბადა ვაჟი – ბაადურ რაჭველიშვილი.

ქრისტეფორე რაჭველიშვილი, თავგანწირვით ებრძოდა მე-11 არმიას, რის გამოც წლების განმავლობაში ბოლშევიკებს მასზე ძებნა ჰქონდათ გამოცხადებული. 1928 წელს 6 წლის ბაადური მამამ თავის მეგობარს, კათოლიკოს კალისტრატე ცინცაძეს, ფარულად მოანათვლინა; ბატონი ბაადური სიცოცხლის ბოლომდე სასოებით ინახავდა კათოლიკოსის ნაჩუქარ ოქროს ჯვარს.

საინტერესოა, რომ ბაადურის პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშეს ქრისტეფორეს მეგობრებმა: კონსტანტინე გამსახურდიამ, ივანე ჯავახიშვილმა, შალვა ნუცუბიძემ, ვახტანგ კოტეტიშვილმა, სიმონ ჯანაშიამ, პავლე ინგოროყვამ, სოლომონ ხუციშვილმა, ალექსანდრე ქუთათელმა...

სწორედ ამიტომ იყო, რომ ბატონი ბაადური გამოირჩეოდა ჰუმანიზმით, ღრმა პატრიოტული მრწამსით, რაფინირებული პიროვნული თვისებებით. ბატონ ბაადურს საქართველოს უახლესი ისტორიის ძნელბედობის თითქმის ყველა ეპიზოდი განცდილი და გათავისებული ჰქონდა; მე-20 საუკუნის ისტორიამ მის ოჯახსაც დაატყო მძიმე კვალი.

1937 წელს, მამის დაპატიმრების შემდეგ, 15 წლის ბაადურმა სულ სხვაგვარად გაიაზრა სამშობლოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. მან, დედასთან ერთად ნახა ირგვლივ გამეფებული დამთრგუნველი შიში და ისიც, თუ როგორ შემოეცალნენ ოჯახს ნაცნობ-მეგობრები... როგორ ვეღარ ბედავდნენ მარტო დარჩენილი დედა-შვილის დახმარებას. „ხალხის მტრის“ ოჯახი განაჩენი იყო, თითქოს. ბატონ ბაადურს სამუდამოდ ჩაებეჭდა მეხსიერებაში, რომ ეს მსახვრალი შიშიც კი ყველას თანაბრად ვერ ერეოდა. ერთადერთი, ვინც ბედავდა ოჯახს დახმარებოდა, ქრისტეფორეს განუყრელი მეგობარი, კონსტანტინე გამსახურდია იყო.

1939 წელს ბატონი ბაადური თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, 1940 წელს კი სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, სადაც მომავალში მედიცინის სახელოვან წარმომადგენლებთან - ლევან ჭაჭიაშვილთან, რეზო ხოფერიასთან, შოთა გამყრელიძესთან, ვახტანგ ხუციძესთან (წოპე) კონსტანტინე მადიჩთან და სხვებთან ერთად სწავლობდა.

1944 წლიდან, სამედიცინო ინსტიტუტის წარჩინებით დასრულების შემდგომ, ბატონი ბაადურის ცხოვრება და საქმიანობა ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვას დაუკავშირდა, რასაც იგი სიცოცხლის ბოლომდე ღირსეულად ემსახურა. თავდაპირველად განაწილებით მუშაობა დაიწყო ხულოს რაიონის საექიმო პუნქტის გამგედ, სადაც მრავალმხრივი სამუშაოს შესრულება უწევდა – იყო თერაპევტიც, ქირურგიც, პედიატრიც, მეანიც... მისი საექიმო უბანი 14 მაღალმთიან სოფელს მოიცავდა. მალევე იგი ჩაირიცხა ისტორიის ინსტიტუტის მედიცინის ისტორიის განყოფილების ასპირანტურაში.

1950-1960 წლებში ბაადურ რაჭველიშვილი იყო რესპუბლიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ორდინატორი და ენდოსკოპიური კაბინეტის გამგე. 1957 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „შინაგანი მედიცინის საკითხები ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში“.

1961 წლიდან ბაადურ რაჭველიშვილი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სუბორდინატორთა ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის ასისტენტია, შემდეგ – დოცენტი, პროფესორი; 1986 წელს იგი შინაგან სნეულებათა კათედრის გამგედ აირჩიეს.

ბაადურ რაჭველიშვილმა ქართველ მედიკოსთა რამდენიმე ათეული თაობის პროფესიული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში მიიღო მნიშვნელოვანი მონაწილეობა, ბევრ ახალგაზრდა მედიკოსს გაუკვალა გზა მეცნიერებაში. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროს ხუთი ათეული წლის განმავლობაში გასტროენტეროლოგია და უძველესი ქართული მედიცინა, ბოლო პერიოდში კი - ნაღვლკენჭოვანი დაავადების ეტიოპათოგენეზის მექანიზმების კვლევა შეადგენდა; ამ მიმართებით იგი 160-ზე მეტი პუბლიკაციის, მათ შორის, 10 მონოგრაფიის ავტორი და თანაავტორია.

ბევრ ჩვენს თანამემამულეს ახსოვს მისი, როგორც ექიმის, შეუდარებელი პროფესიონალიზმი. მის ახლობლებსა და ნაცნობებს არ ავიწყდებათ ის ამაღლებული სისადავე და ჭეშმარიტი ღირსება, რაც ბაადურ რაჭველიშვილის ორგანული თვისებები იყო; პროფესორ ბაადურ რაჭველიშვილის სისპეტაკე, კომპეტენტურობა, ადამიანური სითბო მისაბაძი იყო მისი თანამედროვეებისთვის და სამაგალითოა მომავალი თაობებისთვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის ბაადურ რაჭველიშვილის საუკუნოვანი იუბილე არის მნიშვნელოვანი თარიღი და კიდევ ერთი შესაძლებლობა, ქედი მოვიხაროთ დიდი პროფესიონალის სახელის და ხსოვნის წინაშე და ვუთხრათ მადლობა უშურველი ღვაწლისა და სამაგალითო ცხოვრებისათვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

პედიატრი, რომელმაც ეპოქა შექმნა

ირაკლი ციციშვილს, ქართული პედიატრიის, მართლაც, კაშკაშა ვარსკვლავს, ადამიანს, რომელმაც თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე შეძლო და ისეთი სიყვარული მოიპოვა, რომ „სახალხო ექიმს“ უწოდებდნენ, წელს 100 წელი შეუსრულდებოდა.

თავისი მოღვაწეობით ირაკლი ციციშვილმა დაარღვია ყოველგვარი კლიშე და გახდა მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ყოველგვარი ამბიციის გარეშე, უანგარობით, კეთილგონიერებითა და დაუღალავი შრომით უფრო დიდ შედეგს მიაღწიო როგორც მეცნიერმა, მოაზროვნემ და პრაქტიკოსმა ექიმმა, ვიდრე კარიერული წინსვლით ნიშანდებულმა ცხოვრებამ შეიძლება შემოგთავაზოს. ის ატარებდა ყველა იმ ღირსეულ თვისებას, რომელიც მემკვიდრეობით ერგო ოჯახიდან – მისი ოჯახი და წინაპრები კი იმ ღირსეულ ქართველთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ, რომლებიც საქართველოს ისტორიას ქმნიდნენ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ამაყობს, რომ ბატონი ირაკლი იმ კურსდამთავრებულთა შორისაა, ვინც თავისი არსებობით უდიდესი ავტორიტეტი შესძინა მთელ სამედიცინო საზოგადოებას. მისი ცხოვრება მძაფრსიუჟეტიანი რომანივით იკითხება, სადაც ათასგვარ სასასტიკეგამოვლილი მთავარი გმირი შეუბღალავი სულით, სიკეთის კეთების უშრეტი ენერგიით, პროფესიონალიზმით, განსაცვიფრებელი გონიერებით რჩება სინათლისა და ქვეყნის სამსახურში.

პედიატრიის ინსტიტუტის დირექტორიც იყო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეც, პედიატრიის კათედრის გამგეც და პროფესორიც, მაგრამ მთავარი თანამდებობა — ჭეშმარიტად სახალხო ექიმობა იყო. მისი სიტყვებია: „ჩემი საექიმო საქმიანობის დაწყებიდან (1946 წლიდან, როდესაც პროფესორმა ვლადიმერ თოხაძემ კლინიკურ ორდინატურაში მიიღო) დღემდე (2012 წლის ივლისის ინტერვიუში აქვს ნათქვამი) 800336 ბავშვი მყავს გასინჯულიო“... მართლაც, უდიდესი პრაქტიკა ჰქონდა.

100-ზე მეტი შრომა გამოაქვეყნა, მათ შორის – 3 მონოგრაფიაც, ძირითადად – კლინიკურ მედიცინაში.

ამ დიდი შრომის მიღმა იდგა მღელვარე ცხოვრება, რომელიც ბატონმა ირაკლიმ მოზრდილობის ასაკიდანვე დაიწყო...

ირაკლი ციციშვილის ბიძა და მამა რომ დაიჭირეს, გადაწყვიტა, ანტისაბჭოთა საზოგადოება ჩამოეყალიბებინა მასავით გულნატკენ სამ მოზარდთან ერთად. მაშინ სამი ანტისაბჭოთა ორგანიზაცია არსებობდა საქართველოში: ერთი მუსტაფა შელიასი, მეორე – ანრი ბუაჩიძისა და მესამე – ირაკლი ციციშვილის „ოთხთა კავშირი“. ცხადია, დაუნდობელმა ტოტალიტარულმა სახელმწიფომ, სასტიკი რეაგირება მოახდინა სამივე საზოგადოებაზე. როგორც ბატონი ირაკლი იხსენებდა, მისი ორგანიზაციიდან ერთ-ერთმა გასცა და სამი სკოლის მოსწავლე (14 წლისანი იყვნენ) პოლიტპატიმარი აღმოჩნდა. ეს იყო ჯოჯოხეთური გამოცდილება. ბატონი ირაკლი იხსენებდა; „გამოძიების დროს თავიდან ხმას ვერ ვიღებდი, ამიტომ არ მცემდნენ, მაგრამ კარს ღია ტოვებდნენ და მაყურებინებდნენ, როგორ აწამებდნენ სხვებს. ხან დატოვებდნენ მაგიდაზე იარაღს და გავიდოდნენ. არც ისეთი

პედიატრიის კათედრის თანამშრომლები:
ზევით – მარცხნიდან მესამე ირაკლი ციციშვილი
ქვევით – მარცხნიდან მესამე ვლადიმერ თოხაძე

სულელი ვიყავი, ვიცოდი, შიგ ტყვიები არ იყო და ხელს არ ვკიდებდი. მოგვიანებით ციხეში გადაგვიყვანეს, ოღონდ ცალ-ცალკე. შემოდგომით გაგვასამართლეს, მოგვისაჯეს 7 წელი და როგორც არასრულწლოვნებს, გაგვინახევრეს. დედა მოსკოვში გაფრინდა, ჩაუვარდა მანქანის ქვეშ გენერალურ პროკურორ ვიშინსკის. ქალი რომ დაეცა, მანქანა შეაჩერეს, ჩასვეს დედა და კრემლში შეიყვანეს. დედამ უამბო ჩვენი ამბავი – თქვენ რკინის სახელმწიფო გაქვთ და ამ ბავშვებმა რა უნდა დაგაკლონ, შეცდნენო... ვიშინსკის საქართველოში დაურეკავს – გაუშვით ბავშვებიო. საქმე თავიდან განიხილეს და გამოგვიშვეს“.

მას მერე არაერთხელ დადგა არჩევანის წინაშე, ან უფრო იოლი და მარტივი გზა უნდა აერჩია და საკუთარ სულიერებაზე უარი ეთქვა და ან – ძალიან რთული, მაგრამ სამართლიანი გზით განეგრძო ცხოვრება. მან მეორე აირჩია.

სწავლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში განაგრძო. ყოველთვის დიდი მადლიერებით იხსენებდა მასზე მამასავით მზრუნველ პროფესორ ვლადიმერ თოხაძეს: „ვლადიმერ თოხაძემ მამასავით მიპატრონა. დიდ პატივს ვცემდი და მიყვარდა. ერთხელ მიამბო: - იცი, რა გაჭირვება გამოვიარე?! სამედიცინოზე ჯერ იურევის უნივერსიტეტში, შემდეგ ოდესაში ვსწავლობდი. ზაფხულობით საქართველოში ჩამოვდიოდი, ყმაწვილებს გიმნაზიაში შესასვლელად ვამზადებდი და სწავლის ფულს ასე ვშოულობდი. მესამე კურსის საგნები რომ ჩავაბარე, თავის სარჩენი კაპიკი აღარ დამრჩა. უცებ თბილისიდან 5 მანეთი მომივიდა. მაშინ ეს დიდი ფული იყო.

თურმე თბილისში, ქარვასლაში, საქველმოქმედო საღამოები იმართებოდა ხელმოკლე სტუდენტებისთვის. ჩემ შესახებ სხვა სტუდენტებისაგან შეუტყვიათ. მას მერე ყოველთვიურად ხან – 5, ხან – 7 ან – 8 მანეთი მომდიოდა და იმითი შევძელი თავის რჩენა და უმაღლესის დამთავრებაო... რა იცოდა ბატონმა ვლადიმერმა, რომ ქარვასლაში იმ საქველმოქმედო საღამოებზე ბებიაჩემი ჩამოივლიდა ხოლმე ლანგრით... მეც არ ვიცოდი, რომ ჩემი, მამასავით ერთგული და მფარველი პროფესორი ასე გადაარჩინა იმ ქველმოქმედებამ“.

ბატონმა ირაკლიმ ქველმოქმედების მხრივაც საოცარი მაგალითი მისცა ადამიანებს. ვისაც მასთან უმუშავია, იცის, რამდენ პაციენტს მკურნალობდა ისე, რომ არანაირ ანაზღაურებას არ იღებდა ამ საქმიანობაში.

ბევრი ღირსეული ჯილდო ჰქონდა მიღებული – ღირსების ორდენი, ბრწყინვალეების ორდენი, თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება, მის პატივსაცემად საავადმყოფოში, მისივე სახელი რომ დაერქვა, ვარსკვლავი გაიხსნა; მაგრამ ყველაზე მთავარი – ხალხის, პაციენტების, კოლეგების, მოწაფეების სიყვარული და პატივისცემა იყო...

ირაკლი ციციშვილის დიდი ავტორიტეტი და პროფესიონალიზმი დღემდე რჩება იმ ნიშად, რომელთან სწორებაც ყველა მისი კოლეგისთვის დიდი პატივია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

რეგენერაცია – სტუდენტების ცხოვრება პირველი სტუდენტური სერიალის რაკურსით

... დრო მიჰქრის და თუ დაუნდობლად არ ანადგურებს, აუფერულებს მაინც წარმოდგენას ყოველღიურობაზე; რჩება მხოლოდ ის, რაც შენეულია, ღირებული და - მეტნაკლებად ფასეულიც; სტუდენტობაც ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ხანაა, მეტ ყურადღებას, პატივისცემას და დაფასებას, შეიძლება ითქვას, შეუმჩნევლის შემჩნევას რომ ითხოვს ახალგაზრდისგან...

,,მინდოდა ისეთი რამ გამეკეთებინა, რაც უნივერსიტეტს დარჩებოდა და... იდეაც დაიბადა – გადაგვეღო სერიალი, ანუ საუნივერსიტეტო ცხოვრების დეტალები კადრებად აგვეკინძა; პირველად ნათია გამახსენდა, თსსუ-ის თეატრ „ჰიგიას“ რეჟისორი, არაერთი წარმატებული სტუდენტური სპექტაკლის დამდგმელი და სულისჩამდგმელი“, – თავის აზრს გვიზიარებს კინოფილმ „რეგენერაციის“ იდეის ავტორი და მთავარი როლის შემსრულებელი, თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის მესამე სემესტრის სტუდენტი **გიორგი სანიკიძე**.

– „უნივერსიტეტში ჩაბარების დღიდანაა გიორგი „ჰიგიაში“; მიმდინარე წლის იანვრის თვეში კი, როცა შემოქმედებითი ცხოვრება თითქმის დაპაუზებული იყო და მხოლოდ ჩათვლები და გამოცდები მიმდინარეობდა, მომხიბვლავი იდეით მოვიდა იგი ჩემთან - სურდა სამედიცინო უნივერსიტეტისთვის მიეძღვნა ფილმი. ფანტასტიკურ იდეად მივიჩნიე, კრეატიულად... და მიუხედავად ჩვენი მდიდარი შემოქმედებითი წარსულისა, ამ მიმართებით მაინც გამოუცდელები გვეთქმოდა; დავიწყეთ ფიქრი და დაგეგმვა, რა და როგორ გაგვეკეთებინა. შევხვდით სერიალ - „შუა ქალაქის“ სცენარის ავტორს, **გოჩა კოლხელაურს**, რომლის რჩევით ბევრი რამ გავითვალისწინეთ, დავხვეწეთ სცენარი, ვისუბრეთ ქრონომეტრაჟზე, დავსახეთ გეგმა. ამის შემდეგ კი პროექტი გავაცანით თსსუ-ის რექტორს, პროფესორ **ზურაბ ვადაჭკორიას,** კანცლერს, პროფესორ **ზურაბ ორჯონიკიძეს**, რომელთაგანაც დიდი მხარდაჭერა და თანადგომა მივიღეთ და იდეას განხორციელების საშუალებაც მივეცით, რისთვისაც მათ დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ“, - გვითხრა **ნათია გუჯაბიძემ,** თსსუ-ის თეატრ „ჰიგიას“ რეჟისორმა, თსსუ-ის ჰისტოლოგიის, ციტოლოგიის და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა.

იდეის, სცენარის ავტორისა და რეჟისორის მიერ მთავარი აქცენტები ფილმის ხარისხსა და შინაარსობრივ მიმზიდველობაზეა გადატანილი.

როგორც აგვიხსნეს, ფილმში ტერმინ „რეგენერაციას“ ორმაგი დატვირთვა აქვს, ერთი - მედიცინასთან კავშირშია, მეორე კი თაობათა ცვლას გულისხმობს, რაც, ასევე, შეიძლება პიროვნულ აღდგენასთანაც გავაიგივოთ, ანუ ადამიანში რაღაცის სასიკეთოდ შეცვლას, გამოსწორებას გულისხმობს...

– „ჩვენს ლექტორებს სხვადასხვა ამპლუაში ვიხილავთ; სერიალი არაერთი ფაქტის ირგვლივ განვითარდება და რადგანაც გვაქვს მხატვრული ფილმის შექმნის პრეტენზია, სერიებიც მხატვრულ სტილში იქნება გადაწყვეტილი, ანუ ესაა ისტორია, პირობითად, დემე ლორთქიფანიძისა, რომელიც სწავლობს სამედიცინო უნივერსიტეტში. ფილმში ასახული ამბები არაა არსებულის ასლი, არამედ მხატვრულად გააზრებული ისტორიაა საუნივერსიტეტო ცხოვრებისა“, - გვიხსნის იდეის ავტორი, თუმცა, სერიალში გამოჩნდებიან ის პიროვნებებიც, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი უნივერსიტეტის განვითარების ისტორიაში. უკვე რამდენიმე სერიაა გადაღებული, ამდენივეს მოსწრებას აპირებენ ამ სეზონისთვის. სერიის მთავარი პერსონაჟები პირველსემესტრელები არიან თავიანთი ცხოვრებისეული ამბებით... ფილმი საინტერესო რომ გამხდარიყო, გადაწყვიტეს პედაგოგებისთვისაც შეეთავაზებინათ ესა თუ ის როლი.

სერიალში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები მონაწილეობენ, ასევე, – „ჰიგიელებიც“, კიდევ - სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, ამჟამად ლექტორები. როგორც ამბობენ, ეკრანზე ისეთი სახეებიც გამოჩნდებიან, რომელთა ხილვაც გაგვიხარდება, გაგვიკვირდება კიდეც...

გიორგი ჭიჭინაძე - თსსუ-ის ფიზიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, თსსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი:

-„ნათია გუჯაბიძემ და გიორგი სანიკიძემ, სერიალის სულისჩამდგმელებმა, როგორც კი შემომთავაზეს მასში მონაწილეობა, არცერთი წუთით არ მიყოყმანია და დიდი სიამოვნებით დავთანხმდი მათ წინადადებას; როგორც კი სერიალი გავიდა ეთერში, მივხვდი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე, ფილმში რომ ვითამაშე. გიორგი სანიკიძის იდეა ძალიან მომეწონა, რაც მშვენივრად განახორციელა თეატრ „ჰიგიას“ რეჟისორმა, ნათია გუჯაბიძემ. ოთხი სერია გადაიღეს ჯერჯერობით, იმედია, ასევე, წარმატებით გააგრძელებენ და მეც მოთმინებით დაველოდები ახალ შემოთავაზებას მათი მხრიდან“...

ალექსანდრე ციბაძე - თსსუ-ის ემერიტუსი პროფესორი:

-„ჩვენი თეატრის რეჟისორმა, უსაყვარლესმა ნათია გუჯაბიძემ, მთხოვა, მონაწილეობა მიმეღო ფილმში, რის გადაღებასაც აპირებდა პირველ-მეორე სემესტრელებთან ერთად და მეთამაშა ბაბუას როლი, რომლის შვილიშვილი სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტია. ბაბუასა და შვილიშვილების ამგვარი დამოკიდებულება ჩემთვის უცხო არაა, ვინაიდან ჩემი ოთხი შვილიშვილიდან სამი მედიკოსია.

შესანიშნავი თობა მოდის სამედიცინო უნივერსიტეტში, დიდი სიამოვნება მივიღე მათთან ურთიერთობისას: განათლება, ცოდნა, თანამედროვე ხედვა, ყველაფერი ის, რაც მედიკოსთა მომავალ თაობას სჭირდება...

უკვე რამდენიმე სერია გამოვიდა, სამ მათგანში მაქვს პატარა როლი, მაგრამ - ჩემი ასაკისა და ემოციისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან 86 წლის ვარ და ახალგაზრდა თაობასთან მუშაობა დიდ სიხარულს მგვრის.

დიდ წარმატებას ვუსურვებ ნათია გუჯაბიძეს და სტუდენტ გიორგი სანიკიძეს ახალ წამოწყებაში, სტუდენტებს კი - წინსვლას ცხოვრებაში და წარმატებას სამედიცინო განათლების რთულ სარბიელზე“.

სალომე ვორონოვი, თსსუ-ის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:

„ცნობილია, რომ ხელოვნებისკენ სწრაფვა განსაკუთრებით გამოხატული აქვთ ექიმებს და ეს, ალბათ, პროფესიული ემოციებიდან საუკეთესო განტვირთვას წარმოადგენს.

სტუდენტი რომ გავხდი, მალევე შევიტყვე, რომ თსსუ-ში სწორედ მაშინ ყალიბდებოდა მოყვარულთა თეატრალური დასი. შემიძლია ვთქვა, რომ საუკეთესო სტუდენტური წლები მქონდა და ეს მეტწილად იმ ფერადი და ხალისიანი მოგონებებითაა სავსე, რაც ,,ჰიგიას '' უკავშირდება. ერთ დიდ გუნდად და ოჯახად შეგვკრა ნათია გუჯაბიძემ და ეს კავშირი დღემდე გრძელდება. ბევრი სახალისო მომენტი შემოგვრჩა იმ დროიდან და ტრადიციაც — ყოველი ახალი სპექტაკლის შემდეგ ერთად ვიკრიბებით ყველა თაობა. ამ უწყვეტი ტრადიციის შედეგად და ახალი თაობის ენთუზიაზმით გაჩნდა ახალი გამოწვევის იდეა, რომელსაც სერიალი ,,რეგენერაცია“ ჰქვია.

დიდ წარმატებას ვუსურვებ მთელ შემოქმედებით ჯგუფს“.

ბადრი მაჭავარიანი – თსსუ-ის კულტურის ცენტრის დირექტორი:

„დიდი სითბოთი და სიყვარულით მინდა აღვნიშნო თსსუ-ის კულტურის ცენტრთან არსებულ დრამატულ თეატრ – ,,ჰიგიას” და მისი რეჟისორის, თსსუ-ის პროფესორ ნათია გუჯაბიძის, მიღწევები სასცენო ხელოვნებაში. იმ წარმატებაზე რომ არაფერი ვთქვათ, რასაც თეატრმა ამ 20 წლის განმავლობაში მიაღწია, გიორგი სანიკიძის იდეის მიხედვით ფილმ ,,რეგენერეაციის“ გადაღებით, შეიძლება ითქვას, რომ თსსუ-ის სტუდენტთა დიდი ხნის სურვილი ასრულდა – ესაა ფილმი სტუდენტურ ცხოვრებაზე, ანუ მხატვრულად გააზრებული ისტორია ჩვენი უნივერსიტეტელი ახალგაზრდებისა, რაც, უდავოდ, ლამაზ ფურცელს ჩაწერს თსსუ-ის შემოქმედებით ცხოვრებაში; მე კი, როგორც კულტურის ცენტრის დირექტორი და ამ ფილმის ერთ-ერთი მონაწილე, შემდგომ წარმატებას ვუსურვებ კოლექტივს და მადლობას ვუხდი თსსუ-ის ადმინისტრაციას მხარდაჭერისა და დახმარებისათვის!“

თსსუ-ის სტუდენტებმა: **ფეფე გოგნაძემ, გიორგი თაბაგარმა, ნანი ებიტაშვილმა, თორნიკე ღუდუშაურმა, თაკო ხორავამ, ინა ნიქაბაძემ, სოფიო ცინცაძემ, ხვიჩა სებუამ, თაკო ბოგველმა, ვახო კიკნაძემ, თათა პაპაშვილმა, სალი ხუტაშვილმა, ზურა ყიფშიძემ, ანანო სიდამონიძემ, ნანი ტატიშვილმა,** უნდა ითქვას, რომ მშვენივრად გაართვეს თავი ,,დავალებას“ და, ალბათ, ძნელია, ამ მხრივ, მათ ახალბედები უწოდო, ისე გაითვისეს და მოირგეს როლები და თანამედროვე ახალგაზრდები დადებითი თუ უარყოფითი მხარეებით, თავიანთი ყოველდღიურობით წარმოაჩინეს....

რაც შეეხება ფილმის ოპერატორს, **იაკობ ბრეგვაძეს**, მისი სურვილი ყოველთვის იყო ხანგრძლივი პროექტის განხორციელება და როდესაც მეგობარმა და ფილმის იდეის ავტორმა, გიორგი სანიკიძემ, თანამშრომლობა შესთავაზა - ფილმის ოპერატორობა ანდო, ეს მისთვის, უდავოდ, დიდია გამოწვევა აღმოჩნდა, - თითქმის ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა ამ ფილმზე მუშაობა, - ამბობს იაკობი და სიამაყით აღნიშნავს, რომ ნათია გუჯაბიძეს, გიორგი სანიკიძეს და მას, წარმატებული პროექტი გამოუვიდათ....

და მართლაც, მთელმა შემოქმედებითმა კოლექტივმა, სრულიად უანგაროდ, საპირწონედ დიდი ამაგისა და სიყვარულისა, მშობლიურ უნივერსიტეტს უძღვნა ეს ფილმი...

დარეჯან კომლაძე

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64
რედაქტორი **ლელა მუკბანიანი**
კორესპონდენტები: **მანანა ფხალაძე** ტ.:555 29 98 27 **დარეჯან კომლაძე** ტ.:558 17 08 47 **ნატო ბოლქვაძე**
ტ.:555 28 28 97 ელ-ფოსტა newspaper@tsmu.edu